

ესოფლიო

ეზესერობის

ისპორია

ხობხე

ლუის

ბობხესი

ინტელექტი



მკითხველთა ლიგა

ხორხე ლუის ბორხესი

მსოფლიო მზაკვრობის ისტორია

სასტიკი მხსნელი ლასარუს მორელი

განყენებული მიზეზი

1517 წელს პადრე ბართოლომე დე ლას კასას შეებრაღა ანტილის ოქროს მადაროებში დასაქმებული ინდიელები, ჯოჯოხეთური ჯაფისაგან წელში რომ გამწყდარიყვნენ და კარლ მეხუთეს შესთავაზა ზანგი მუშახელი გამოყენებინა, რათა ანტილის ოქროს მადაროებში ჯოჯოხეთური ჯაფისაგან სწორედ ისინი გამწყდარიყვნენ წელში. ამ ფილანტროპის საინტერესო იდეას უნდა ვუმაღლოდეთ მოვლენათა ისეთ უსასრულო ჯაჭვს, როგორიცაა: ჰენდის ბლუზი, ურუგვაელი დოქტორის, დონ პედრო ფიგარის პარიზული სამხატვრო წარმატება, ასევე ურუგვაელი, დოქტორ ვისენტე როსის კარგი პროზა გაქცეულ მონებზე, აბრაამ ლინკოლნის მითოლოგიური სიდიადე, ხუთასი ათასი დაღუპული ამერიკის სამოქალაქო ომში, სამასი მილიონ სამასი ათასი დოლარი გაცემული სამხედრო პენსიის სახით, ფალუჩოს ილუზორული ქანდაკება, აკადემიის ლექსიკონის მეცამეტე გამოცემაში ჩამატებული ტერმინი "ლინჩის წესით გასამართლება", ვნებიანი ფილმი "ალილუია", სოლერის დიდებული შეტაკება ხიმტებით "მუქებისა" და "შავგვრემნების" წინაშე სადღაც სერიტოში, ვინმე სენიორიტას საოცარი მომხიბვლელობა, ზანგი, რომელმაც მოკლა მარტინ ფიერო, დარდიანი რუმბა "ელ მანისერო", დაპატიმრებული და გამომწყვდეული ნაპოლეონიზმი ტიუსენ ლუვერტიურის სახით, ჯვარი და გველი ჰაიტიზე, პაპალოის მაჩეტეთი თავმოჭრილი თხების სისხლი, "აბანერა" - ტანგოს დედა და კანდომბე.

ამას გარდა, დანაშაულებრივი და დიადი არსებობა სასტიკი მხსნელის, ლასარუს მორელისა.

ადგილი

სწორედ მისისიპი, წყლების მამა, ყველაზე განიერი მდინარე მსოფლიოში, გახლდათ დირსეული თეატრი ამ შეუდარებელი ნაძი-

რალასათვის (ადმოაჩინა ალვარეს დე პინედამ, მისი პირველი მასწავლებელი კი კაპიტანი ერნანდო დე სოტო იყო, პერუს ძველი კონკისტადორი, რომელიც ინკ ატაჰუალპას საპყრობილეში თვეობით იყო გამომწყვდეული ლასარუსთან ერთად და ამ უკანასკნელს ჭადრაკის თამაში ასწავლა. როცა მოკვდა, სწორედ მისისიპი გახდა მისი აკლდამა).

მისისიპი მკერდსავსეა, უსაზღვრო და ბნელი ძმაა მდინარე პარანასი, ურუგვაის, ამაზონისა და ორინოკოს პარანასი. ესაა მულატისფერი მდინარე, რომლის მიერ ჩამორეცხილი ოთხას მილიონ ტონაზე მეტი შლამი კარგა ხანია, ყოველ წელს ბღალავს მექსიკის ყურეს. უძველესი დროიდან საპატიო სიბინძურის დიდი ოდენობით მოჭარბებას წარმოუქმნია დელტა, რომელზეც გიგანტური ჭაობის კვიპაროსები კონტინენტის ნაშალ ნარჩენებზე ამოზრდილა. მკვდარი თევზებითა და დამპალი მცენარეებით სავსე თიხის ლაბირინთები ბოროტი იმპერიის საზღვრებსა და სიმშვიდეს აფართოვებენ. უფრო ზევით, არკანზასისა და ოჰაიოსკენ დაბლობია, სადაც სახლობს ციებ-ცხელებისკენ მიდრეკილი ყვითელკანიანების უბადრუკი ტომი, რომელიც ქვასა და რკინას ხარბად შესცქერის, რადგან მხოლოდ ქვიშა, ფიჩხი და მღვრიე წყალია მისი საკუთრება.

ადამიანები

XIX საუკუნის დასაწყისში (თარიღი, რომელიც ჩვენ გვავინტერესებს) მდინარის ნაპირებზე გადაჭიმულ უსასრულოდ ვრცელ შაქრის პლანტაციებს აისიდან დაისამდე ამუშავებდნენ ზანგი მონები. ეძინათ ხის ქოხებში, პირდაპირ მიწაზე. ყველა სახის ნათესაური კავშირები, გარდა დედაშვილურისა, პირობითი და ბუნდოვანი იყო. სახელები ჰქონდათ, თუმცა, გვარები დიდად არ სჭირდებოდათ. ვერ კითხულობდნენ. მონები ნაზი ხმით მღეროდნენ სიმღერებს, რომლებშიც ინგლისური ხმოვნები ზანტად ჟღერდა. მუშაობდნენ მწყობრად, ზედამხედველის უხეში წკეპლის ქვეშ. როცა გარბოდნენ, წვერიანი კაცები ლამაზ ცხენებზე შესხდებოდნენ, დაგემილი მწევარი ძაღლები კი კვალს უშეცდომოდ მიჰყვებოდნენ.

მათ ცხოველურ იმედებსა და აფრიკულ შიშებს სახარებისეული სიტყვები ასაზრდოებდა: შესაბამისად, რაც სწამდათ, ქრისტესეული

იყო. ადელვებულები ერთხმად მღეროდნენ “Go Down Moses”. მისისიპი მათთვის მღვრიე იორდანეს თვალსაჩინო გამოხატულება იყო.

დასამუშავებელი მიწებისა და შესაბამისად მათზე მომუშავე ზანგი მონების მფლობელები იყვნენ ძუნწი, გრძელთმიანი ბატონები, რომლებიც, როგორც წესი, მდინარის წარმტაცი ხედის მქონე დიდ ფსევდო-ბერძნული ტიპის თეთრ სახლებში ცხოვრობდნენ. კარგი მონა ათასი დოლარი ღირდა და დიდხანს ვერ ძლებდა. ზოგიერთი ისეთი უმადური იყო, ავად გახდომას და სიკვდილსაც კი ბედავდა. საჭირო იყო ამ უიმედო ადამიანებისაგან მეტი ხეირის ნახვა. სწორედ ამიტომ ამუშავებდნენ მონებს მზის პირველი სხივებიდან მათ უკანასკნელ გაბრწყინებამდე. ბამბის, თამბაქოსა თუ შაქრის მოსავალი წლიური უნდა ყოფილიყო. მუდმივი დამუშავების გამო გამოფიტული და ნაფათურები მიწა რამდენიმე წელიწადში უნაყოფო ხდებოდა: პლანტაციები სარეველა ბალახებისა და ტალახის უიმედო უდაბნოს ემსგავსებოდა. მიტოვებულ ფერმებში, გარეუბნებში, ნაოხარ შაქრის პლანტაციებსა და საზიზღარ შლამში "უბადრუკი თეთრები" (Poor Whites) ცხოვრობდნენ. ძირითადად მეთევზეები, უნიათო მონადირეები და ცხენის ქურდები იყვნენ. ხშირად ართმევდნენ შაკვანიანებს მოპარულ საჭმელს და ამაცობდნენ, რომ მათი სისხლი სუფთა იყო, შეუბღალავი. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ლასარუს მორელი.

კაცი

ამერიკულ ჟურნალებში გამოქვეყნებული მორელის დაგეროტიკები ავთენტური არაა. ალბათ ასეთი გამორჩეული და ცნობილი ადამიანის ნამდვილი სურათების ნაკლებობა შემთხვევითი არ უნდა იყოს. სავარაუდოა, რომ მორელი შეგნებულად ერიდებოდა ნაცრისფერ ფირს, რათა სახის ნაკვთების უსარგებლო ნაკვალევი არ დაეტოვებინა, ან მეტი იდუმალეობა მიენიჭებინა თავისი არსებობისათვის. თუმცა, ის კი ვიცით, რომ ახალგაზრდობის წლებში ულამაზო ყოფილა. ერთმანეთთან მეტისმეტად დაახლოებული თვალები და თხელი ტუჩები მის სასარგებლოდ არ მეტყველებდა. მოგ-

ვიანებით, წლებმა მას ნამდვილად მიანიჭა ის დიდებულება, რომელიც ხშირად აქვთ შეჭადარავებულ გაიძვერებს, იბღლიან კრიმინალებს, სიცოცხლის ბოლომდე დაუსჯელნი რომ რჩებიან. სამხრეთელი დიდგვაროვანი იყო, იმის მიუხედავად, რომ ბავშვობა სიღარიბეში გაატარა და სამარცხვინოდ ცხოვრობდა. წმინდა წერილს კარგად იცნობდა და ნიჭიც ჰქონდა, ერთგვარი დამაჯერებლობით ექადაგა. "მინახავს ლასარუს მორელი საკურთხეველთან, - იხსენებს ლუიზიანას სათამაშო სახლის Baton Rouge-ის მფლობელი: - ვისმენდი მის სანიმუშო სიტყვებს და ვხედავდი, როგორ მოსდიოდა ცრემლები თვალებიდან. ვიცოდი, რომ ყალბი იყო, ზანგების ქურდი, მკვლელი ღვთის წინაშე, მაგრამ მასთან ერთად ჩემი თვალებიც ტიროდნენ".

მორელიმ თავადვე გამოამჟღავნა საკუთარი თავი. ამის ნათელი დასტური მისივე სიტყვებია: "აზარტულად გადავშალე ბიბლია. შთამბეჭდავად ვკითხულობდი პავლე მოციქულის სიტყვებს საათისა და ოცი წუთის განმავლობაში. ქრინშოუსა და მის კომპანიონებს ამასობაში დრო უქმად არ დაუკარგავთ, მონუსხულ მსმენელებს ცხენებს ჰპარავდნენ. მერე ეს ცხენები არკანზასის შტატში გაყიდეთ. ერთადერთი ცხენი, რომელიც არ გაყიდულა, ღია შეფერილობისა იყო და პირადად ჩემთვის დავიტოვე. ქრინშოუსაც მოსწონდა, მაგრამ დავარწმუნე, რომ არ შეეფერებოდა."

მეთოდი

ერთ შტატში მოპარული და მეორე შტატში გაყიდული ცხენები მორელის დანაშაულებრივი კარიერის მანძილზე ყველაზე შთამბეჭდავი ნამდვილად არ ყოფილა, თუმცა, აღნიშვნის ღირსია მეთოდი, რითაც ხელმძღვანელობდა და რის გამოც კუთვნილი ადგილი მოიპოვა "მსოფლიო მზაკვრობის ისტორიაში". ეს მეთოდი უნიკალურია არა მხოლოდ იმიტომ, რომ თვისებრივად იყო sui generis მაგალითი, არამედ იმიტომაც, რომ მოითხოვდა გაუგონარ სიმდაბლეს, სხვისი იმედების განკარგვასა და ისეთ გრადაციას, რომელიც დამეული კომშარის ავი სიუჟეტის განვითარებას მოგაგონებდათ. ალ

კაპონე და ბაგს მორანი თვალსაჩინო კაპიტალითა და მექანიკური მონებით მანიპულირებენ დიდ ქალაქებში, მაგრამ მათი საქმიანობა ვულგარულია. დავობენ მონოპოლიისთვის, სულ ესაა...

რაც შეეხება რიცხვებს, მორელმა ათას ახალგაზრდას ერთგულების ფიცი დაადებინა. ორასი შეფიცული უზენაეს საბჭოში ერთიანდებოდა და მითითებებს აძლევდა დანარჩენ რვაასს, ისინი კი გულმოდგინედ ასრულებდნენ მათ. ქვეშევრდომები რისკის ქვეშ იყვნენ. ამბოხის შემთხვევაში მათ გადასცემდნენ საბჭოს ან მდინარის აბობოქრებულ ზვირთებში აგდებდნენ, ფეხებზე საიმედოდ მიბმული ქვებით. ძირითადად, მულატები იყვნენ. ამ ადამიანების დანაშაულებრივი მისია კი შემდეგი იყო: მეტი სოლიდურობისთვის ძვირფასი ბეჭდები უნდა აესხათ და გულდასმით გადაექექათ სამხრეთის პლანტაციები. ირჩევდნენ რომელიმე უბადრუკ ზანგს და თავისუფლებას სთავაზობდნენ. ურჩევდნენ პატრონისგან გაქცევას, რათა მერე მეორედ გაეყიდათ რომელიმე შორეულ მამულში. მიღებული თანხიდან მონა მიიღებდა პროცენტს, ხოლო ახალი პატრონისგან კიდევ ერთხელ გაქცევის შემთხვევაში საბოლოო თავისუფლება გარანტირებული იყო. ფული და თავისუფლების მომასწავებელი დოლარები - განა შეიძლებოდა უფრო მომხიბლავი რამის შეთავაზება? მონაც ბედავდა და პირველ გაქცევას თანხმდებოდა.

გაქცევისთვის ბუნებრივ გზას მდინარე წარმოადგენდა. კანოე, ორთქლმავალი, გემი, დაჭაობებული ტბა და ბრეზენტგადაფარებული ქოხი. ადგილს მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი იყო გემოდრავა და ბობოქარი მდინარის ტალღებში თავდაჯერებული ყოფილიყავი. გაქცეული მონა ხელახლა იყიდებოდა სხვა პლანტაციაში. ისიც კიდევ ერთხელ გარბოდა შაქრის პლანტაციებსა და მდინარის ნაპირებისაკენ. მაშინ ეს საშინელი კეთილისმსურველნი (რომელთა კეთილ ნებაში მონას უკვე ეჭვი ეპარებოდა), ზანგს გაუთვალისწინებელი ხარჯების შესახებ ამცნობდნენ და არწმუნებდნენ, რომ საჭირო იყო მისი კიდევ ერთხელ, ბოლოჯერ გაყიდვა. ჰპირდებოდნენ პროცენტს ორჯერ აღებული თანხიდან და თავისუფლებას. მონაც თანხმდებოდა გაყიდვას, მუშაობდა პლანტაციაში და გარკვეული პერიოდის შემდეგ, მათრახებისა და მაძებარი ძაღლების მიუხედავად, კვლავ გარბოდა. მონა ხშირად ბრუნდებოდა სისხლიანი, გაოფლილი, იმედგაცრუებული და ღამენათევი.

საბოლოო თავისუფლება

გასათვალისწინებელია ამ ყველაფრის იურიდიული მხარეც. მთელი ამ ამბის მახვილგონიერება მდგომარეობდა იმაში, რომ ლასარუსი მანამ არ ჰყიდდა მონას, სანამ მისი პირველი მფლობელი საჯაროდ არ გამოაცხადებდა გაქცეულის შესახებ და ჯილდოს არ დააწესებდა მისთვის. მაშინ ნებისმიერს შეეძლო გაქცეულის დაჭერა, მისი ხელახლა გაყიდვისთვის კი მხოლოდ საბრალო მონის დარწმუნება იყო საჭირო. საქალაქო სასამართლოსთვის მიმართვას აზრი არ ჰქონდა, ეს უაზრო ხარჯი იყო, რადგანაც ზარალს არავინ ანაზღაურებდა.

ეს ყველაფერი ნუგეშისმომცემი იყო, მაგრამ მხოლოდ დროებით. გაქცეული შეიძლებოდა ალაპარაკებულიყო. გულუბრყვილო მადლიერებისა თუ უბედურების გრძნობით გამსჭვალულ მონას, შესაძლოა, ლაპარაკის სადერდელი აშლოდა. რამდენიმე ბოთლი ჭვავის ვისკი ილინოისის "ელ ქაიროში", სადაც მონად დაბადებული ძაღლიშვილი იმ ხურდა ფულის დასახარჯად შედიოდა, რომელიც არც უნდა მიეცათ მისთვის, საიდუმლოს უმალ აფქვევინებდა. სწორედ ამ წლებში, აბოლიციონისტთა პარტია ჩრდილოეთით აგიტაციით იყო დაკავებული. ეს იყო საშიშ დამთხვეულთა გაერთიანება, რომლებიც უარყოფდნენ საკუთრებას, მოითხოვდნენ შავკანიანების გათავისუფლებას და მათ გაქვევისაკენ მოუწოდებდნენ. მორელი არ აპირებდა ამ ანარქისტებთან გაიგივებას. ის იანკი კი არა, სამხრეთელი თეთრკანიანი იყო. თეთრკანიანის შვილი და თეთრკანიანის შვილიშვილი. საქმიანობის წყნარად მიტოვებას აპირებდა, პატივსაცემ ბატონად ყოფნას, ბამბის პლანტაციის ლიგების პატრონობას და უამრავი ზანგის ყოლას. მისი გამოცდილების გათვალისწინებით, უსარგებლო რისკის დრო აღარ იყო.

ამასობაში დამნაშავე თავისუფლებას ელოდა. ჰოდა, ლასარუს მორელის მოქუფრული მულატები მას მხედველობის, სმენის, შეგრძნების, დღის, ავი სახელის, დროის, კეთილისმსურველების, მოწყალების, ჰაერის, ძაღლების, სამყაროს, იმედის, ოფლისა და საკუთარი თავისაგან ათავისუფლებდნენ. საბოლოოდ, მონას ელოდა ტკივილი, დანით მიყენებული ჭრილობა მუცელში ან მისისიპის თევზებისა თუ კუების კერძად გადაქცევა.

კატასტროფა

სანდო ხალხის წყალობით, მორელის ბიზნესი უნდა აყვავებულიყო. 1834 წლის დასაწყისისათვის მას "გათავისუფლებული" ჰყავდა სამოცდაათამდე მონა. მრავალს კი იმედი ჰქონდა, რომ ამ იდბლიანთა რიცხვს შეემატებოდა. მოქმედების არეალი ნელ-ნელა ფართოვდებოდა, რის გამოც, საჭირო გახდა მოკავშირეების მოძებნა. ახლად-შეფიცულთაგან ერთ-ერთი იყო ვინმე ვირჯილ სტიუარტი არკანზასიდან, რომელმაც ბოროტებით თავი მალე გამოიჩინა. ეს ბიჭი ძმისშვილი გახლდათ ბატონისა, რომელსაც უამრავი მონა დაეკარგა. 1834 წლის აგვისტოში სტიუარტი ფიცი გატეხა და მორელთან ერთად ყველა მისი თანამოაზრე დაასმინა. პოლიციამ მორელის სახლს ახალ ორლენში ალყა შემოარტყა. ლასარუსმა იმპროვიზაციისა და ქრთამის წყალობით გაქცევა მოახერხა.

გავიდა სამი დღე. ამ ხნის განმავლობაში მორელი ტულუზის ქუჩაზე მდებარე ძველ სახლში იმალებოდა. სახლს მცენარეებიანი ეზო და ქანდაკებები ამშვენებდა. როგორც ჩანს, მწირად იკვებებოდა, უზარმაზარ, ბნელ ოთახებში ფეხშიშველი დადიოდა და შეფიქრიანებული ეწეოდა სიგარას. მოახლის მეშვეობით წერილები გააგზავნა ნათჩეზისა და რედ რივერის ქალაქებში. მეოთხე დღეს სამმა კაცმა მოაკითხა. ხმამაღალი ლაპარაკი დილამდე ისმოდა. მეხუთე დღის მწუხრს, ლასარუსმა სამართებელი მოითხოვა და წვერი გულდასმით გაიპარსა. ჩაიკვა და სახლიდან გავიდა. მშვიდად გადაჭრა ჩრდილოეთის გარეუბნები. ტრიალ მინდორზე გასულმა მისისიპის ნაპირებზე შედარებით ნელა განაგრძო სვლა.

გეგმა ისეთი ჰქონდა, სასმელისგან შეთამამებულ ლოთებს რომ აქვთ. სურდა, ესარგებლა ამქვეყნად დარჩენილ ადამიანთა იმ მცირე ჯგუფით, რომლებიც ჯერ კიდევ სცემდნენ პატივს: სამხრეთელი ზანგი მსახურებით. მათ ენახათ გაქცეული მეგობრები, რომლებიც არ დაბრუნებულან და შესაბამისად, სწამდათ მათი თავისუფლების. მორელის გეგმა ითვალისწინებდა მონების ჯანყს, ახალი ორლენის აღებასა და ძარცვას, ტერიტორიების სრულ კონტროლს. დალატისაგან გათანგულმა და გაუბედურებულმა მორელმა კონტინენტის მასშტაბზე გათვლილი პასუხი მოიფიქრა: პასუხი, სადაც ყოველივე დანაშაულებრივი მონანიებად და ისტორიად გადაიქცეოდა. ამ მიზნით

მან ნათჩეზს მიმართა, ქალაქს, სადაც მისი ძალაუფლება ყველაზე ძლიერი იყო. მოგზაურობა ნათჩეზის მიმართულებით მან ასე აღწერა:

"ოთხი დღე ფეხით მომიწია სიარულმა, სანამ ცხენს ვიშოვიდი. მეხუთე დღეს წყაროსთან შევჩერდი, რათა წყალი მომემარაგებინა და შემესვენა. კოცონთან ვიჯექი, როცა დავინახე მხედარი, რომელიც კარგი დამდის მუქი ფერის ცხენზე ამხედრებულიყო. როგორც კი დავინახე, გადავწყვიტე, ცხენი წამერთმია. გავჩერდი, ჩემი მშვენიერი რევოლვერი დავუმიზნე და ვუბრძანე ჩამოქვითებულიყო. როცა ბრძანება შეასრულა, აღვირს ხელი ჩავჭიდე, წყაროსკენ მივუთითე და ვუბრძანე წინ ევლო. ორასიოდე არშინის გავლის მერე უცნობი გაჩერდა. ვუბრძანე, გაეხადა. მან მითხრა: "რადგან ჩემი მოკვლა გადაწყვეტილი გაქვთ, ნება მომეცით, ვილოცო სიკვდილის წინ". ვუპასუხე, რომ დრო არ მქონდა ლოცვის მოსასმენად. როცა მუხლებზე დაეცა, კეფაზე ტყვია დავაჭედე. ჯაყვით მუცელი გავუფატრე, ნაწლავები ამოვაცალე და წყალში გადავყარე. შემდეგ ჯიბეები მოვუჩხრიკე, ვუპოვე ოთხასი დოლარი და ოცდაჩვიდმეტი სენტავო, ქაღალდები, რომლის დათვალიერებაც არ დამზარებია. ჩექმები ახალი იყო, ბრწყინავდა და მიხდებოდა. გაცვეთილი ჩექმები კი წყალს გავაყოლე. ასე მოვიპოვე ცხენი, რომელიც ნათჩეზში ჩასასვლელად მჭირდებოდა".

შენწყვეტა

მისისიპის ისტორიას არ ჰქონია ფუფუნება, ენახა, როგორ მეთაურობდა მორელი მის ჩამოხრჩობაზე მეოცნებე ზანგებს, ან როგორ ჩამოახრჩვეს მორელი, რომელიც ოცნებობდა ზანგების მეთაურობაზე. მთელი ამ პოეტური სამართლიანობის (თუ პოეტური სიმეტრიის) საწინააღმდეგოდ, არც მდინარე გამხდარა მისი განსასვენებელი. 1835 წლის ორ იანვარს მორელი ნათჩეზის საავადმყოფოში პულმონარული ჰიპერემიით გარდაიცვალა. საავადმყოფოში რეგისტრირებული იყო ვინმე საილეს ბაკლის სახელით. საერთო პალატაში ერთ-ერთმა ავადმყოფმა იცნო. ორ და ოთხ იანვარს რამდენიმე პლანტაციის ზანგმა მონებმა აჯანყება გადაწყვიტეს, მაგრამ მათი მცდელობა დიდი სისხლისღვრის გარეშე ჩაახშვეს.

უბადლო მატყუარა ტომ კასტრო

სწორედ ასეთი სახელით იცნობდნენ ამ ამბის მთავარ გმირს 1850-იან წლებში ჩილეს ქუჩებსა და ტალკაჰუანოს, სანტიაგო დე ჩილესა და ვალპარაისოს ქალაქებში. სრულიად სამართლიანად, ის დღესაც ამ ეპითეტით მოიხსენიება ამ ადგილებში, თუნდაც ის მოჩვენება ან შაბათის გასართობი იყოს. უოპინგის სამოქალაქო მდგომარეობათა ბიუროს ჩანაწერის აქტიში ჩვენი გმირი წარმოდგენილი იყო როგორც არტურ ორტონი, დაბადებული 1834 წლის 7 ივნისს. ვიცით, რომ ყასბის შვილი იყო, დარიბული ბავშვობა ლონდონის უბადრუკ კვარტლებში გაატარა, მოგვიანებით კი ზღვის ყვილი იგრძნო. ამ ფაქტში გასაოცარი არაფერია, ე.წ. Run away to sea ტრადიციული ინგლისური ხერხი იყო იმ დროს, რათა მშობლების ძალაუფლებისათვის თავი დაგედწია, ეს იყო ჰეროიკული წამოწყება. მას გეოგრაფია და თვით ბიბლიაც კი გვირჩევს (ფსალმუნი, 107, "ზღვაში ხომალდებით გამგზავრებულებმა, დიდ წყლებზე საქმის მკეთებლებმა - მათ ნახეს საქმენი უფლისა და საოცრებანი სიღრმეებში)." ორტონი წითელაგურიანი უბნიდან გაიქცა და ზღვას მიაშურა. გარდაუვალი იმედგაცრუებით უმზერდა "სამხრეთის ჯვარს". გემიდან გამოქცეული ვალპარაისოს პორტს მიადგა. გამორჩეულად მშვიდი ილიოტი იყო. ლოგიკით, შეიძლებოდა (და ასეც უნდა მომხდარიყო) მომკვდარიყო შიმშილისაგან, მაგრამ მისმა სულელურად მხიარულმა ხასიათმა, მუდმივად მომდიმარმა სახემ და ღრმა თვინიერებამ მეტისმეტად მოხიბლა ადგილობრივ კასტროთა ოჯახი, რომლის გვარიც მოგვიანებით მიიღო. ამ სამხრეთამერიკული ეპიზოდის კვალი მეტად აღარ ჩანს, თუმცა საფიქრალია, ორტონმა მადლიერება ამ ოჯახისადმი იმით გამოხატა, რომ 1861 წელს ავსტრალიაში ამ გვარით გამოცხადდა: გახდა ტომ კასტრო. სიღნეიში გაიცნო ვინმე ბოგლი, ზანგი მოსამსახურე. ბოგლი, რომელსაც მომხიბლელობას ვერ დასწამებდით, გამოირჩეოდა იმით, რომ საინჟინრო კონსტრუქციის მსგავსად, მყარი, მონუმენტური აღნაგობა ჰქონდა. ისეთი ტანი, როგორიც მხოლოდ ასაკში შესულ ზანგს შეიძლება ჰქონდეს, სოლიდური აღნაგობითა და მანერებით. ჰქონდა ის თვისება, რომელიც სხვადასხვა სახის ეთნოგრაფიულ ნაშრომებს მისი რასისთვის არასოდეს მიუკუთვნებია: იშვიათი გონებამახვილობა, რაშიც მოგვიანებით დავრწმუნდებით.

ბოგლი კარგად აღზრდილი და თავშეკავებული ადამიანი იყო, მისი ძველფრთხილი ინსტინქტები კალვინიზმის სწავლებას ყალიბში ჩამოესხა. გარდა ღვთიური გამოცხადებებისა (რასაც მოგვიანებით აღვწერთ) აბსოლუტურად ნორმალური ადამიანი იყო, ერთი ეგაა, აკვიტებული ჰქონდა თითქოს ყოველი მხრიდან მოსდევდა ეკიპაჟი, რომელსაც მისი ღვებების მოსწრაფება სურდა.

ერთ საღამოს ორტონმა თვალი მოჰკრა სიდნეის ხმაურიან გზაჯვარედინზე მდგარ ბოგლს, რომელიც წარმოსახვითი სიკვდილის მოლოდინში ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავდა. ორტონი კარგა ხანს ყურადღებით აკვირდებოდა, მერე მიუახლოვდა, ხელი გაუწოდა და რატაცნაირად კმაყოფილებმა, ერთად გადაჭრეს სრულიად უწყინარი ქუჩა. იმ აწ უკვე გარდასული საღამოს წამიდან, მათ შორის პროტექტორატის ტიპის ურთიერთობა დამყარდა: გაუბედავი და მონუმენტური შავკანიანი მფარველობდა დიდ უსაქმურს უოპინგიდან. 1865 წლის სექტემბერში მათ ერთად წაიკითხეს ადგილობრივ გაზეთში განთავსებული მეტად სასოწარკვეთილი განცხადება.

გალმერთებული მკვდარი

1854 წლის აპრილის მიწურულს (სანამ ორტონს ჩილე ისე გულითადად მასპინძლობდა, როგორც მისი პატიოები) ორთქლმავალი "მერმეიდი", რომელიც რიო-დე-ჟანეიროდან ლივერპულში მიემართებოდა, სადღაც ატლანტის ოკეანეში ჩაიძირა. დაღუპულთა შორის იყო ვინმე როჯერ ჩარლზ თიჩბორნი, ინგლისელი სამხედრო, რომელიც საფრანგეთში გაიზარდა და ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კათოლიკური ოჯახიდან იყო. ძნელი დასაჯერებელია, რომ სიკვდილი ამ გაფრანგებული ინგლისელისა, რომელიც ინგლისურად დახვეწილი პარიზული აქცენტით ლაპარაკობდა და იწვევდა იმ ზიზღს, რასაც მხოლოდ ფრანგული გონებამახვილობა, თავაზიანობა და პედანტობა იწვევს, გახდა გარდამტეხი ორტონის ცხოვრებაში. ლედი თიჩბორნმა, როჯერის განადგურებულმა დედამ, ვერ ირწმუნა შვილის გარდაცვალების ამბავი და იმ დროის მსხვილტირიაჟიან გაზეთებს განცხადებით მიმართა. სწორედ ერთი ასეთი მიმართვა ჩაუვარდა ხელში ბოგლს, რომელსაც ბრწყინვალე იდეა დაებადა.

განსხვავებულობის უპირატესობანი

თიხბორნი კარგი აღნაგობის, დახვეწილი მანერების მექონე ახალგაზრდა იყო, კუთხოვანი ნაკვთებით, მუქი სახის კანით, შავი სწორი თმით, მეტყველი თვალებითა და შემაწუნებლად მკაფიო მეტყველებით. ორტონი კი იყო უხეში გარეგნობის, დიდი ღიპით, უსასრულოდ ტლანქი ნაკვთებით, ნამძინარევი სახით, მუქი წაბლისფერი თმით, დაბინდული მზერითა და მიკიბ-მოკიბული, აბდაუბდა საუბრის მანერით. ბოგლმა გადაწყვიტა, რომ ორტონის მოვალეობა იყო გაჰყოლოდა პირველივე ორთქლმავალს ევროპაში და გაემართლებინა ლედი თიხბორნის იმედი, როგორც მის შვილს. თავისთავად, გეგმა საოცრად ჭკვიანური იყო. ვეცდები, მარტივი მაგალითი მოვიყვანო. აი, 1914 წელს რომელიმე თაღლითს თავი გერმანიის იმპერატორად რომ გაესაღებინა, ალბათ ეცდებოდა, წარმოეჩინა მაღლა აპრეზილი უღვაშები, პარალიზებული მკლავი, წარბთა მკაცრი წყობა, ნაცრისფერი მოსასხამი, ჩინ-მედლებით აჭრელებული მკერდი და მაღალი მუზარადი. მაგრამ ბოგლი მეტად დახვეწილი ავაზაკი იყო: ის ალბათ პირტიტველა კაიზერს უფრო გამოაჩენდა, ყოველგვარი სამხედრო ატრიბუტიკისა და არწივის ორდენტა გარეშე, შესაშურად ჯანმრთელი მარცხენა მკლავით. აღარ განვაგრცოთ ეს მეტაფორა: ისედაც ცხადია, რომ ბოგლმა საზოგადოებას წარუდგინა ქონიანი თიხბორნი იმბეცილის თავაზიანი ღიმილით, წაბლისფერი თმით და ფრანგული ენის სრული უმეცრებით. ბოგლმა იცოდა, რომ როჯერ ჩარლზ თიხბორნის აბსოლუტური მსგავსებისთვის მიღწევა შეუძლებელი იყო. იცოდა, რომ ეს არც უნდა ეცადათ, რადგან ამით მეტად გამოიკვეთებოდა განსხვავებები. სწორედ ამიტომ, უარი თქვა ნებისმიერი სახის მსგავსებაზე. უტყუარი აღღოთი მიხვდა, რომ რეალობისაგან ძლიერ განსხვავებული სახის წარმოჩენა მტკიცე საბუთი იქნებოდა იმისა, რომ არანაირ სიყალბესთან არ ჰქონდათ საქმე, ამის აღმოჩენას კი მარტივი მეთოდებით ვერავინ შეძლებდა. არ უნდა დავივიწყოთ დროის ყოვლისშემძლე ხელშეწყობაზეც: სამხრეთ ნახევარსფეროში გატარებულმა თოთხმეტმა წელიწადმა და შემთხვევითობამ ადამიანი შეიძლება სრულიად შეცვალოს.

არსებობდა სხვა საფუძვლიანი არგუმენტიც: ლედი თიხბორნის დაჟინებული და სულელური განცხადებები, რომელიც ცხადყოფდა,

ქალს ღრმად სწამდა, რომ როჯერ ჩარლზი არ მომკვდარა, მას ამის აღიარება უბრალოდ არ შეეძლო.

შეხვედრა

ყოველთვის თვინიერმა ტომ კასტრომ ლედი თიჩბორნს მისწერა. ვინაობის დასამოწმებლად ფრიად სარწმუნო არგუმენტები მოიყვანა: გაიხსენა ორი ხალი მარცხენა ძუძუსთავთან და მეტად უსამოვნო, მაგრამ დასამახსოვრებელი შემთხვევა ღრმა ბავშვობიდან, როცა მას თავს დაესხა ფუტკრების გუნდი. წერილი ლაკონიური იყო და ტომ კასტროსა და ბოგლისთვის შესაფერი ორთოგრაფიული უზუსტობებით გამოირჩეოდა. პარიზის ერთ-ერთ სასტუმროში მარტოობას მინებებულმა ქალმა წერილი ბევრჯერ გადაიკითხა, ბედნიერების ცრემლები ღვარა და რამდენიმე დღეში სრულად მოაგონდა ის მინიშნებები, რასაც შვილი წერილში სწერდა. 1867 წლის 16 იანვარს როჯერ ჩარლზ თიჩბორნი სასტუმროში გამოცხადდა. მას თავისი ერთგული ფინია, მსახური ებენეზერ ბოგლი ახლდა თან. ზამთრის უჩვეულოდ მზიანი დღე იდგა. ლედი თიჩბორნის დადლილი თვალები ტირილში გათენებულ ღამეზე მეტყველებდნენ. ზანგმა ერთმანეთის მიყოლებით გახსნა ფანჯრები. ზამთრის შუქმა თავისი როლი ითამაშა: დედამ უძღები შვილი ამოიცნო და გულში ჩაიკრა. ახლა, როცა შვილი ჰყავდა, რას დაეძებდა იმ გაზეთებსა და მეორეხარისხოვან წერილებს ბრაზილიიდან, მარტოობის თოთხმეტ წელიწადს იმედით რომ კვებავდა. ყველა ეს წერილი ამაყად მოაქუჩა: არც ერთი არ აკლდა.

ბოგლს ეშმაკურად ჩაედინა: მის წინ როჯერ ჩარლზის წარმატებული მოჩვენება იდგა.

AD MAJOREM DEI GLORIAM

ეს სასიხარულო მოვლენა კლასიკური ტრაგედიების მიხედვით გათამაშებულს ჰგავდა, აგვირგვინებდა ისტორიას, უზრუნველჰყოფდა ან უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლებელს ხდიდა სამივე მხარის კმაყოფილებას: ნამდვილი დედის სიხარულს, თვითმარქვია თვი-

ნიერი შვილის ბედნიერებას და ისტორიის იდეური სულისჩამდგმელის სიამეს, რომელიც თავისი გამომგონებლური ნიჭის წყალობით ბრწყინვალე გამარჯვებით დაჯილდოვდა. ბედისწერამ (სწორედ ასე ეწოდება ერთმანეთში გადახლართული ათასობით მოვლენის ურთიერთქმედებას) სხვაგვარად გადაწყვიტა: 1870 წელს ლედი თიჩბორნი გარდაიცვალა და ნათესავებმა არტურ ორტონის წინააღმდეგ სასამართლოში საქმე აღძრეს სამოქალაქო მდგომარეობის უზურპაციისათვის. მათთვის ცრემლები და მარტოობა უცხო იყო, სიხარბისგან განსხვავებით. არასოდეს სჯეროდათ დაბრუნება ხეპრე და უძღები შვილისა, რომელიც ასე მოულოდნელად გამოჩნდა ავსტრალიიდან. ორტონს მხოლოდ მრავალრიცხოვან კრედიტორთა ის არმია უჭერდა მხარს, მისგან ვალის დაბრუნებას რომ ელოდა.

ორტონს ოჯახის ადვოკატის, ედუარდ ჰოპკინსისა და ანტიკვარიატით მოვაჭრის, ფრენსის ჯეი ბაიჯენტის მეგობრობაც ეხმარებოდა. თუმცა, ეს არ კმაროდა. ბოგლმა იფიქრა, რომ თამაშის მოსაგებად აუცილებელი იყო საზოგადოებრივი აზრის მათ სასარგებლოდ ჩამოყალიბება. თავზე ქუდი ჩამოიცივა, აიღო საკმაოდ სოლიდური ქოლგა და განსჯისათვის ლონდონის მდიდარ ქუჩებს მიაშურა. საღამო ხანი იყო. ბოგლი მანამ დახეტილობდა, სანამ თაფლისფერი მთვარე ქალაქის შადრევნებში მართ კუთხედ არ აირეკლა. ღმერთი მაშინ გამოეცხადა. ბოგლმა ეტლი გააჩერა და ანტიკვარიატით მოვაჭრის, ბაიჯენტის სახლისკენ უბრძანა წასვლა. ბაიჯენტმა "თაიმსში" გააგზავნა ვრცელი წერილი, რომელშიც ავტორი ირწმუნებოდა, რომ ე.წ. თიჩბორნი უსირცხვილო მატყუარა იყო. წერილს ხელს აწერდა მამა გუდრონი, იესოს ორდენიდან. არსებობდა სხვა განცხადებებიც, ასევე პაპისტთა მხრიდან. შედეგი მყისიერი იყო: წესიერ ხალხს ეჭვიც არ შეპარვია, რომ სერ როჯერ ჩარლზი იუზუიტთა საშინელი შეთქმულების მსხვერპლი გახდა.

კარეტა

სასამართლო პროცესი ასოთხმოცდაათი დღე გაგრძელდა. ასამდე მოწმემ დაადასტურა, რომ ბრალდებული მართლაც თიჩბორნი იყო - მათ შორის დრაგუნთა მეექვსე კავალერიის ოთხმა მეგობარმა.

თიხბორნის მომხრეები დაუდალავად ამტკიცებდნენ, რომ ეს ადამიანი არ ტყუოდა, ასე რომ არ ყოფილიყო, განა ის არ ეცდებოდა ახალგაზრდობის დროინდელი იერისთვის მიებადა? ამას გარდა, ის ლედი თიხბორნმაც იცნო, დედა კი აშკარაა, არ შეიძლება ცდებოდეს. ყველაფერი კარგად, ან მეტ-ნაკლებად კარგად იყო, სანამ ორტონის ძველი საყვარელი არ გამოცხადდა სასამართლოში ჩვენების მისაცემად. ბოგლი არ დაუფრთხია "ნათესაების" მზაკვრულ ხერხს. კვლავ მოითხოვა ქუდი, ქოლგა და შთაგონებისთვის ლონდონის მოჩუქურთმებული ქუჩებისაკენ გაეშურა. იპოვა თუ არა გამოსავალი, ვერასოდეს შევიტყობთ. "პრომოუზ ჰილთან" სწორედ ის საშინელი კარეტა წამოეწია, წლების განმავლობაში რომ სდევდა. ბოგლმა შორიდანვე შენიშნა იგი, იყვირა, თუმცა ხსნა არსაიდან იყო. მთელი ძალით ქვის ფილებს მიენარცხა. ჯაგლაგი ცხენის ფლოქვებმა თავის ქალა გადაუმსხვრია.

მოჩვენება

ტომ კასტრო თიხბორნის მოჩვენება იყო, უბადრუკი აჩრდილი, რომელსაც ბოგლის გენია მართავდა. როცა კასტროს მისი სიკვდილის ამბავი შეატყობინეს, მოჩვენებამ გაფერმკრთალება დაიწყო. ძველებურად ტყუოდა, მაგრამ ნაკლები ენთუზიაზმით და ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებებით. დასასრული ადვილი განსაჭვრეტი გახდა.

1874 წლის 27 თებერვალს არტურ ორტონს, იგივე ტომ კასტროს თოთხმეტწლიანი კატორღა მიესაჯა იძულებითი მუშაობის პირობით. ციხეში სხვებს თავი შეაყვარა, რაც კარგად ეხერხებოდა. სანიმუშო ყოფაქცევისათვის პატიმრობის ვადა ოთხი წლით შეუმცირდა. როცა ეს სტუმართმოყვარე ადგილი დატოვა, გაერთიანებული სამეფოს ცენტრები და სოფლები შემოიარა. საჯარო გამოსვლები დასჩემდა, ხან უდანაშაულობაზე საუბრობდა, ხანაც ბრალს აღიარებდა. მოკრძალება და მისწრაფება, ყველასათვის სასიამოვნო ადამიანი ყოფილიყო, ისეთი ძლიერი იყო, ბევრჯერ დაუწყია ლაპარაკი თავის მართლებით და მონანიებით დაუსრულებია. ეს ყველაფერი ყოველთვის საჯაროდ, ხალხის წინაშე ხდებოდა.

1898 წლის 2 აპრილს მოკვდა.

ჩინგის ქვრივი, მეკობრე

სიტყვა "კორსარზე" შეიძლება უხერხული მოგონებები ადგვედრას: გაგვახსენდეს ის უფერული სარსულები, ახალგაზრდა მოახლეები მეკობრეების განსახიერებისას მუყაოს შეფერადებულ ზღვის ტალღებში რომ ცეკვავდნენ. რა თქმა უნდა, მართლა არსებობდნენ კორსარი ქალები, მოხერხებული, სანაოსნო მანევრირებაში გაწაფულები, გამხეცებული ეკიპაჟის მართვაც რომ შეეძლოთ და უზარმაზარ ხომალდთა დევნა თუ ძარცვა. ერთ-ერთი მათგანი იყო მერი რიდი: ქალი, რომელმაც ერთხელ ისიც კი თქვა, რომ მეკობრის პროფესია ყველასთვის არაა, ამ საქმის ღირსეულად შესასრულებლად ნამდვილი მამაკაცი უნდა იყო, ისეთი, როგორც თავად იყო. კარიერის დასაწყისში, როცა ჯერ კიდევ არ იყო კაპიტანი, მის ერთ-ერთ საყვარელს ვინმე ჩხუბისთავმა გემზე შეურაცხყოფა მიაყენა. მერიმ ჩხუბისთავი დუელში გამოიწვია. ორივე ხელში იარაღი ეჭირა, როგორც ეს კარიბის რეგიონში ძველად სჩვეოდათ: მარცხენა ხელში მრისხანე და უიმედო პისტოლეტი, მარჯვენაში კი ერთგული ხმალი. პისტოლეტმა უმტყუნა, მაგრამ ხმალმა თავისი საქმე დიდებულად შეასრულა... 1720 წელს მერი რიდის მშფოთვარე კარიერა სანტიაგო-დე-ლა-ვეგაში (იამაიკა) ესპანურ სახრჩობელაზე დასრულდა.

ზღვები სხვა მეკობრე ქალსაც იცნობდნენ - ენ ბონეის, ბრწყინვალე ირლანდიელს, მაღალი ბიუსტითა და ცეცხლოვანი თმებით, რომელსაც აბორდაჟის დროს თავისი სხეული ბევრჯერ ჩაუგდია საფრთხეში. მერი რიდის იარაღის მეგობარი იყო, მერე სახრჩობელაზე მისი ბედი გაიზიარა. ბონეის საყვარელმა, კაპიტანმა ჯონ რევემმაც მარყუჟი გაყო თავი, ენი კი მკაცრად იმეორებდა აიშას სიტყვებს ნათქვამს ბოაბდილისადმი: "კაცივით რომ გებრძოლა, ძაღლივით არ ჩამოგახრჩობდნენ".

იმ დროს კიდევ ერთი, თავზუნელაღებული და ხანგრძლივი მეკობრე დათარეშობდა აზიის წყლებში, ყვითელი ზღვიდან ანამის საზღვრის მდინარეებამდე. ვგულისხმობ მრავალ ომგამოვლილ ჩინგის ქვრივს.

შემეცნების წლები

1797 წელს ხსენებულმა ზღვის მეკობრეებმა კონსორციუმი დააარსეს და აღმირალად ვინმე ჩინგი დაასახელეს, კაცი გამოცდილი და სანდო. ეს უკანასკნელი ისე უგულოდ და ისეთი ჟინით ძარცვავდა ნაპირებს, რომ დაზარალებულმა მოსახლეობამ ხსნისთვის ცრემლითა და მუდარით მიმართა საიმპერატორო კარს. ხალხის თხოვნა შეისმინეს. მოსახლეობას დაევალა, გადაეწვათ სოფლები, თავი დაენებებინათ მეთევზეობისათვის, ღრმად შეჭრილიყვნენ ქვეყნის შიგნით ტერიტორიაზე და მათთვის უცხო საქმიანობისათვის, სოფლის მეურნეობისათვის მოეკიდათ ხელი. ასეც მოიქცნენ. იმედგაცრუებულ დამპყრობლებს კი ხელში ხრიოკი ნაპირები შერჩათ. სანაოსნო თავდასხმამ ზღვაზე გადმოინაცვლა: მეკობრეები უფრო მეტი სიშმაგით ძარცვავდნენ, ვიდრე ადრე, რამაც დიდი ზიანი მიაყენა იმპერიას, რადგანაც მკვეთრად შეაფერხა სავაჭრო ურთიერთობები. საიმპერატორო კარს დიდხანს არ უფიქრია, ხალხს მოუწოდა სახნავ-სათესისთვის თავი დაენებებინათ და კვლავინდებურად ნიჩბისა და ბადისათვის მოეკიდათ ხელი. ხალხი აჯანყდა, მწარედ ახსოვდათ ძველი შიში. მაშინ მთავრობამ ახალ ხერხს მიმართა: გადაეყვიტეს აღმირალი ჩინგი საიმპერატორო საჯინიბოს მეთაურად დაენიშნათ. ეს უკანასკნელი დათანხმებას აპირებდა, მაგრამ გემთმფლობელებმა ღროზე შეიტყვეს მისი დაწინაურების შესახებ და აღშფოთება მოწამლული მუხლუხობების ბრინჯიანი კერძით გამოხატეს. ყელის ჩასატკბარუნებელი კერძი საბედისწერო აღმოჩნდა: ძველმა აღმირალმა და საიმპერატორო საჯინიბოს ახალმა მეთაურმა სული ზღვას მიაბარა. ორმაგი დალატით გაშმაგებულმა აღმირალის ქვრივმა თავის გარშემო მეკობრეები შემოიკრიბა, შეთქმულების შესახებ ამცნო, მოუწოდა, თვალი არ დაეხუჭათ იმპერატორის მოჩვენებით გულმონწყალეებაზე და გემთმფლობელთა უმადურობაზე. მეკობრეებს საკუთარი ხარჯით აბორდაჟისკენ მოუწოდა და ურჩია, ახალი აღმირალი დაესახელებინათ. აღმირალად თავად ქვრივი აირჩიეს. კაფანდარა ქალი იყო, ნამძინარევი მზერითა და დაჭიანებული

დიმილით. მუქი და ცხიმოვანი თმა თვალებზე მეტად უბრწყინავდა. მისი მითითებისამებრ, გემები შუა ზღვას გაეშურნენ ხიფათის შესახვედრად.

მმართველობა

თარეში ცამეტ წელიწადს გაგრძელდა. არმადა სხვადასხვა ფერის დროშის ექვსი ფლოტილიისგან შედგებოდა: წითელი, ყვითელი, მწვანე, შავი, იისფერი და გველისფერი, რომელიც კაპიტნისა იყო. მეთაურებს ერქვათ ჩიტი და ქვა, წყაროს წყლის შურისძიება, ხომალდის განძი, უხვთევზიანი ტალღა და ამოწვერილი მზე. რეგლამენტი, რომელიც პირადად ჩინგის ქვრივმა შეადგინა, მკაცრი, ზუსტი და ლაკონური იყო. აკლდა ის რიტორიკა, რომელიც ოფიციალური ჩინური სტილის მსგავსად, ტექსტს მეტად სასაცილო ელფერს სძენს. რამდენიმე ნაწყვეტი ამ დადგენილებიდან:

- მტრის ხომალდიდან გადმოტვირთული ქონება შეინახება და აღირიცხება საწყობში. მოგების მეხუთედი თითოეულ მეკობრეს დროულად გადაეცემა; დარჩენილი ქონება დარჩება საწყობში. ამ მითითების დამრღვევი სიკვდილით დაისჯება.
- მეკობრეს, რომელიც პოსტს სპეციალური ნებართვის გარეშე დატოვებს, საჯაროდ გაუხვრეტენ ყურებს. დანაშაულის გამეორებას მოჰყვება სიკვდილით დასჯა.
- აკრძალულია სოფლიდან გატაცებული ქალებით გემბანზე ვაჭრობა. ვაჭრობა დასაშვებია მხოლოდ ტრიუმში, ყოველთვის სუპერკარგოს ნებართვის შემდეგ. ამ მითითების დამრღვევი სიკვდილით დაისჯება.

ტყვეთა ჩვენებები მოწმობდა, რომ მეკობრეთა მენიუ ძირითადად გალეტების, შემწვარი ცხიმოვანი ვირთხებისა და მოხარშული ბრინჯისაგან შედგებოდა. ბრძოლის დღეებში სასმელში ტყვია--წამალს ურევდნენ. დროის გასაყვანად კმაროდა ბანქო და კამათელი, სასმისი, თამაში "შადრევანი", ოპიუმის ჩხირი და ლამფები. უპირატესობა ენიჭებოდა ორივე ხელით ხმლით ბრძოლას. აბორდაჟამდე ნივრის ექსტრატიტით იზუღდნენ ტანს, სწამდათ, რომ თილისმა იარაღისგან დაიცავდა. ეკიპაჟის წევრებს ცოლები, ხოლო კაპიტანს ხუთი--ექვსი ქალისგან შემდგარი ჰარემი ჰყავდა, რომელიც გამარჯვებას მასთან ერთად ზეიმობდა.

ლაპარაკობს კია-კინგი, ახალგაზრდა იმპერატორი

1809 წლის შუა ხანებში გამოიცა საიმპერატორო ედიქტი, აი, მისი პირველი და უკანაკნელი ნაწილი:

"უბადრუკი და სასტიკი ხალხი, ვინც თელავს ჩვენს პურს, ვინც გადასახადის გადამხდელთა და ობოლთა გოდებას ყურად არ იღებს, ფენიქსისა და დრაკონის საცვლებიანი ხალხი, რომელიც დაბეჭდილ წიგნთა სიმართლეს უარყოფს, ხალხი, რომელიც ტირის ჩრდილოეთით ყურებისას, ამღვრევს ჩვენს მდინარეებს და უძველეს წყნარ ზღვებს. მათი არამდგრადი და მსხვრევადი გემები დღედაღამ შტორმს ებრძვიან. მათი მიზანი უკეთურია: არ არიან და არც ყოფილან მეზღვაურის ნამდვილი მეგობრები. არამცთუ არ ეხმარებიან, მეზღვაურს უსამართლოდ და სასტიკად ექცევიან, ასახიჩრებენ ან კლავენ. ასე უგულბებლყოფენ სამყაროს ბუნებრივი მოწყობის წესებს და ამიტომ დიდდებიან მდინარეები, ნაპირები ივსება წყლით, შვილები მშობლების წინააღმდეგ ჯანყდებიან, გვალვა და ნესტი ენაცვლება ერთმანეთს... სწორედ ამიტომ, შენ მოგანდობ მათ დასჯას, ადმირალო კვო-ლანგ. არ დაგავიწყდეს, რომ გულმოწყალება საიმპერატორო ატრიბუტია და ქვეშევრდომისთვის მისი გამოჩენა უტიფრობა იქნებოდა. იყავი სასტიკი, სამართლიანი, მორჩილი, გამარჯვებული."

რა თქმა უნდა, ფრაზა ხომალდების სავალალო მდგომარეობაზე მოგონილი იყო. ედიქტის მიზანი კვო-ლანგის ექსპედიციის წაქეზება იყო. ოთხმოცდაათი დღის შემდეგ, ჩინგის ქვრივის ძალები ცენტრალური იმპერიის არმიას დაუპირისპირდა. ათასამდე ხომალდმა იბრძოლა აისიდან დაისამდე. ბრძოლას თან ახლდა დაფდაფები, საყვირი, სროლა, წყევლა-კრულვა, გონგი და წინასწარმეტყველება. იმპერიის ძალები განადგურდა. ვერც აკრძალული გულმოწყალების გამოჩენა მოხერხდა და ვერც რეკომენდებული სისასტიკის. კვო-ლანგმა არჩია ის რიტუალი, რომლის მივიწყებასაც ჩვენი დამარცხებული გენერლები ცდილობენ დღეს: სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

საშინელებათა ნაპირები

ექვსასმა სამხედრო ჯონკამ და ამაყი ქვრივის ორმოცი ათასმა გამარჯვებულმა მეკობრემ მდინარე სიციზიანის სათავეები შეავსო, გამრავლდა ცეცხლი, საშიში წვეულებები და ობლები გემბანის ორივე მხარეს. სოფლები სრულად გასწორდა მიწასთან. მხოლოდ ერთი სოფლიდან ტყვეთა რაოდენობამ ათასს გადააჭარბა. თავშესაფრის პოვნის იმედით ბრინჯის მინდვრებში იპოვეს ას ოცი ქალი, რომლებიც ბავშვების ტირილმა გასცა, მერე კი გასაყიდად წაიყვანეს მაკაოში. ხმებმა ცხარე ცრემლებსა და ყაჩაღობაზე, მართალია, შორი გზიდან, მაგრამ მაინც მიაღწია კია-კინგის, ცის შვილის ყურამდე. ზოგიერთი ისტორიკოსი ამბობს, რომ ამ ამბებზე მეტად ის სადამსჯელო ექსპედიციის კრახმა დაამწუხრა. ასეა თუ ისე, მან ხელახლა მოუყარა თავი შემაშფოთებელი ოდენობის მეზღვაურებს, ჯარისკაცებს, იარაღს, სურსათ-სანოვაგეს, წინასწარმეტყველებსა და ასტროლოგებს. ამჯერად არმიის მეთაურობა ტინგ-კვეის მოუწია. ხომალდთა დიდმა რაოდენობამ სიციზიანის დელტა სრულად მოიცვა და გასავლელი ჩაუკეტა მეკობრეთა ესკადრას. ქვრივი შეტაკებისთვის მოემზადა. იცოდა, რომ შეტაკება რთული, ძალიან რთული, თითქმის უიმედო იყო, რადგანაც ძარცვისა და უსაქმურობის მრავალმა ღამემ და თვემ კაცები გამოფიტა. შეტაკება არა და არ იწყებოდა. მზე უდარდელად ამოდიოდა და ჩადიოდა მოცანცანე ლერწმებზე. კაცები და იარაღები ფნიზლობდნენ. შუადღე აღრინდელზე მწველი, სიესტა კი უსასრულო იყო.

დრაკონი და მელა

რა თქმა უნდა, საიმპერატორო კარის მსუბუქი დრაკონები ყოველ სადამოს კვეთდნენ ცის კაბადონს საიმპერატორო ესკადრით და გულდასმით აკვირდებოდნენ წყლებსა და მტრის ჯონკებს. ეს იყო ქაღალდისა და ლერწმისაგან გაკეთებული კომეტივებრი მსუბუქი კონსტრუქცია, რომლის ვერცხლისფერი თუ ალისფერი ზედაპირი მათ ასეთივე ელფერს მატებდა. ჩინგის ქვრივმა ცნობისმოყვარედ შეათვალიერა რიტმულად მოძრავი მეტეორიტები და მოაგონდა გრძელი

და ბუნდოვანი არაკი დრაკონზე, რომელიც ყოველთვის იცავდა მელას, მიუხედავად გამუდმებული უმადურებისა და დანაშაულებისა. მთვარე ცის კაბადონზე დაწვრილდა, ქაღალდისა და ლერწმის ფიგურები ყოველ საღამოს ერთსა და იმავე ისტორიას ჰყვებოდნენ, მცირედი განსხვავებებით. ქვრივი წუხდა და ფიქრობდა. როცა მთვარე ცაში და მოწითალო წყალზე მომრგვალდა, ამბავი დასასრულს მიუახლოვდა. ვერავინ იტყოდა წინასწარ, მელას შეიწყნარებდნენ თუ სასტიკად დასჯიდნენ, მაგრამ დასასრული ახლოვდებოდა. ქვრივი მიხვდა, რა უნდა ექნა. ორივე ხმალი მდინარეში გადაყარა, გემბანზე დაიჩოქა და საიმპერატორო ხომალდის მეთაურთან მიყვანა ითხოვა.

საღამო ხანი იყო: ცა ისევ სავსე იყო. ამჯერად ყვითელი ფერის დრაკონებით. გემბანზე ასვლისას ქვრივი მხოლოდ ერთ ფრაზას იმეორებდა: "მელა დრაკონის ფრთის ქვეშ მიდის".

აკოთეოზი

მემატიანეები წერენ, რომ მელამ კუთვნილი პატიება მოიპოვა და მთელი თავისი ზანტი სიბერე ოპიუმით ვაჭრობას შეაღია. უკვე აღარ იყო ჩინგის ქვრივი, დაირქვა სახელი, რომელიც ესპანურად ნიშნავს "ჭეშმარიტი ცოდნის ბრწყინვალეობას".

"იმ დღიდან (წერს ვინმე ისტორიკოსი), ხომალდებმა სიმშვიდე მოიპოვეს. ოთხი ზღვა და უთვალავი მდინარე საიმედო და მშვიდი გზა გახდა. "მიწათმოქმედებმა ბასრი ხმლები გაყიდეს, ხარები შეიძინეს და მინდვრების ხვნას შეუდგნენ. გულმოდგინედ ასრულებდნენ მსხვერპლმეწირვის რიტუალებს, ლოცულობდნენ მთის მწვერვალზე და შირმის მიღმა მხიარულად მღეროდნენ".

უსამართლობათა შემოქმედი მონკ ისტემენი

ამ ამერიკის შვილები

ლურჯ-ლაჟვარდისფერი კედლისა თუ კამკამა ცის ფონზე მკაცრ შავ კოსტუმებსა და ქალის მაღალქუსლიან ფეხსაცმელებში გამოწყობილი ორი ბაქია უმძიმეს ცეკვას ასრულებს: ცეკვას ერთნაირი დანებით, რომელიც მანამ გრძელდება, სანამ ერთ-ერთის ყურიდან ალისფერი მიხაკი არ გამოჩნდება, როგორც დასტური იმისა, რომ პირველის დანა დრმად შეიჭრა მეორის სხეულში. ეს უკანასკნელი კი უმუსიკოდ, ჰორიზონტალური სიკვდილით ასრულებს ხსენებულ ცეკვას. პირველი ბედის მორჩილი სახით იხურავს ჩამბერგოს და მთელ თავის სიბერეს უძღვნის იმის მოყოლას, თუ რაოდენ წმინდაა მისი ტკივილი. ასეთია ბანდიტიზმის ისტორიის დეტალები ჩვენთან. ნიუ-იორკელ თავზებულალებულთა ისტორია კი მეტად თავბრუდამხვევი და მძიმეა.

იმ ამერიკის შვილები

ნიუ-იორკული ბანდების ისტორია (რომელიც მკითხველმა პირველად 1928 წელს ჰერბერტს ასბერის ოთხასგვერდიან ინ-იქტავო ფორმატის ნაშრომში იხილა), სავსეა დაბნეულობით, სისასტიკითა და ველური კოსმოგონიით, რომელთა უმრავლესობა სრულიად უმსგავსოა: ესაა მიწურის ძველი ლუდსახარშები, სადაც დამეს მიუსაფარი ზანგები ათევდნენ, ნიუ-იორკის რაქიტიანი სამსართულიანი სახლები, "ჭაობის ანგელოზების" (Swamp Angels) მსგავსი კრიმინალთა ბანდები, რომლებიც ძირითადად კანალიზაციის ჯურღმულებში დაძვრებოდნენ სამაროდიოროდ, "განთიადის ბიჭები" (Daybreak Boys), რომლებიც ათი-თერთმეტი წლის მკვლელი-ბავშვების გადმობირებით ირთობდნენ თავს, ათლეტური და უტიფარი მარტონელა ნაძირლები "ცილინდრიანი მახინჯები" (Plug Uglies), უცხოთა გულიან

სიცილს რომ იწვევდნენ მაღალი ქუდებისა და ქარში მოფრიალე გაღელილი პერანგების გამო, მარჯვენას ხელკეტი, ჯიბეს კი პისტოლეტი უმშვენებდათ. ნაძირლების ბანდა "მკვდარი ბაჭიები" (Dead Rabbits), ხელჩართული ბრძოლის დაწყების წინ ჯოხზე აგებულ მკვდარ კურდღელს რომ უჩვენებდნენ მეტოქეს, კაცები, რომლებიც ჯონი დოლანს ჰგავდნენ, ე. წ. "დენდის". ცნობილი იმით, რომ შუბლოზე გაზეთილი თმის კულული ედო, მაიმუნისთავიანი ხელჯოხი და სპილენძის დახვეწილი მოწყობილობა, რომელსაც ცერა თითზე იკეთებდა, სულ თან ჰქონდა, რათა სათანადოდ ამოეთხარა მტრის თვალის ბუდეები. ბიჭები კიტ ბერნსის მსგავსად, თვალის დახამხამებაში რომ შეეძლოთ ცოცხალი ვირთხისთვის თავის მოჭმა, ბიჭები, რომლებიც ჰგავდნენ ბრმა დენი ლიონსს, რომელსაც ქერა თმა და ფართო, მკვდარი თვალეები ჰქონდა, სუტენიორი სამი მეძავისა, რომლებიც ამაყად მოძრაობდნენ შორიანლოს. სახლები ფერადფარიან ქუჩებზე, ისეთი, ახალი ინგლისელი (New England) შვიდი და რომ ფლობდა და შობის დამის შემოსავალს ქველმოქმედებაში ხარჯავდა. მშვიერი ვირთხებისა და ძაღლების საბრძოლო არენა, ჩინური სათამაშო სახლები, ქალები, რომლებიც ჰგავდნენ მარადმწვანე ქვრივს, ჟღალ ნორას, "თრიების ბანდის"(Gohhers) ყველა ლიდერს რომ უყვარდა და ეამაყებოდა, ქალები, რომლებიც ჰგავდნენ "მტრედ ლიზის", დენი ლიონსის სიკვდილით დასჯის შემდეგ ძაძები რომ ჩაიცვა, თავად კი "თვინიერმა მეგიმ" წააცალა თავი, რადგან მისი დიდი ხნის რაყიფი იყო აწ განსვენებული ბრმა კაცის სიყვარულში; 1863 წლის ერთკვირიანი ველური ჯანყი, როცა ამბოხებულებმა ასობით სახლი გადაწვეს და ცოტა დააკლდათ ქალაქის სრულად დაპყრობამდე, ქუჩის შეტაკებები, რომელშიც წიხლებისგან სიკვდილის პირას მიყვანილი კაცი ისე იკარგებოდა, როგორც ზღვაში, "იოსკე ზანგისნაირი" ცხენის ქურდები და მოვაჭრეები - სწორედ ეს ადამიანები ქარგავენ ამ ქაოტურ ისტორიას. ამ ისტორიების ყველაზე ცნობილი გმირი ედვარდ დელანია, იგივე უილიამ დელანი, ჯოზეფ მარვინი, ჯოზეფ მორისი, მონკ ისთმენი, ათასორასკაციანი ბანდის წინამძღოლი.

გმირი

ამ თანმიმდევრული ხრიკების რიგში (რომელიც ნიღბებით თამაშს ჰგავს, რადგან არ იცი, ვინ ვინაა) ჩვენი გმირის ნამდვილი სახელი არ ფიგურირებს, თუკი გავხედავთ და ვივარაუდებთ, რომ საერთოდ ჰქონდა. ერთი კია, ბრუკლინის უილიამსბურგის სამოქალაქო მდგომარეობათა ბიუროს სააქტო ჩანაწერებში მოხსენიებულია როგორც ედვარდ ოსტერმანი, მოგვიანებით გვარის ამერიკანიზებული ფორმით - ისთმენი. უცნაურია, ეს მრისხანე ბოროტმოქმედი ებრაელი იყო, ისეთი რესტორნის მფლობელის შვილი, სადაც ქოშერის სამზარეულოს მისდევნ და სადაც კაცები რაბინისეულ წვერებში უშიშრად მიირთმევენ უსისხლო და სამჯერ გარეცხილ ხორცს ხბოსას, რომელსაც თავი შესაშური სიზუსტით მოჰკვეთეს. 1892 წელს, ცხრაშეტი წლის ასაკში მამის დახმარებით ზოომადაზია გახსნა. ცხოველებისთვის თვალყურის დევნა, მათი ქცევებისა და უმანკოების ცქერა მისთვის საყვარელი საქმიანობა იყო ცხოვრების ბოლომდე. კარიერის მწვერვალზეც კი, როცა ამრეზით ამბობდა უარს ტამანის საჰემის შემოთავაზებულ სიგარაზე და გონდოლასავით ავტომანქანით ყველაზე ჰომპეზურ ბორდელებს სტუმრობდა, მეორე და შენიღბული მაღაზიაც გახსნა, სადაც ასი ჯიშიანი კატა და ოთხასზე მეტი მტრედი ჰყავდა, რომელთაც ნებისმიერზე არ ჰყიდდა. ყველა თავისებურად უყვარდა, სათითაოდ იცნობდა და თავად უვლიდა. უცნაურია, მაგრამ ჩვევად ჰქონდა, უბანში მხარზე წამოსკუპული ბედნიერი კატით ესეირნა, სანამ სხვები გოროზად მიჰყვებოდნენ უკან.

დამანგრეველი და მონუმენტური აღნაგობის კაცი იყო: ხარივით მოკლე კისერი ჰქონდა, ფართო გულმკერდი, გრძელი და საბრძოლველად შემართული ხელები, გატეხილი ცხვირი და სახე, რომელზეც, მართალია, მთელი მისი ცხოვრება ნაიარევებად აღბეჭდილიყო, ტანთან შედარებით მაინც ნაკლებად შთამბეჭდავი იყო. ფეხები მხედარივით თუ მეზღვაურივით დაგრეხილი ჰქონდა. პერანგისა და პიჯაკის გარეშეც შეეძლო სიარული, მაგრამ ციკლოპურ თავზე წამოსკუპებულ დაკუჭულ ქუდზე უარს ვერ ამბობდა. ის ჯერ კიდევ ახსოვთ. ფიზიკურად ტიპური ბანდიტი იყო კინოფილმიდან და სულაც არ ჰგავდა უდიდამო და მსუქან კაპონეს. ვოლჰეიმზე ამბობენ, რომ ჰოლივუდში მხოლოდ იმიტომ დაასაქმეს, რომ ნაკვთებით სწორედ მონკ ისთმენს

წააგავდა. ამ უკანასკნელს კი სჩვეოდა თავისი იმპერიის შემოვლა ლურჯფრთიანი მტრედით მხარზე, რითაც მოგაგონებდათ კუზიან ხარს ბენტევეოთი.

1894 წელს ნიუ-იორკში საჯარო საცეკვაო დაწესებულებები უხვად გამოჩნდა. წესრიგის შესანარჩუნებლად, ისთმენი ერთ-ერთი ასეთ დაწესებულებას მიუჩინეს. ლეგენდა ამბობს, რომ თავიდან დამსაქმებელს მისი დაქირავება არ უნდოდა, მაგრამ მონკმა უნარ-ჩვევების დემონსტრირება იქვე გადაწყვიტა და იოლად დაამარცხა ორი ახმა-ხი, რომელთაც მისთვის ადგილის დათმობა არ სურდათ. ისთმენი 1899 წლამდე დარჩა იმ ადგილას, სადაც ყველას თავზარს სცემდა.

ყოველი მოთვინიერებული ჯიბგირის სახელზე, მონკი თავის უზარმაზარ ხელკეტიზე დანით თითო ნიშანს ტოვებდა. ერთ საღამოს მისი ყურადღება მიიქცია ლუდის კათხიანმა მელოტმა კაცმა, რომელსაც ხელკეტი ისე უთავაზა თავში, საბრალომ გონება დაკარგა. მონკი კი აყვირდა, ერთი დამლა მრჩებოდა ორმოცდაათამდეო.

ძალაუფლება

1899 წლიდან ისთმენი არა მხოლოდ ცნობილი კაცი იყო, მნიშვნელოვანი ზონის კანონიერად არჩეული მეთაური გახლდათ და ფულს იღებდა წითელი ფარნების ქუჩებიდან, სათამაშო სახლებიდან, ქუჩის მეძავებისა თუ ამ უბნების ბინძური დასახლებებიდან. კრიმინალური დაჯგუფებები თუ კერძო პირები ამა თუ იმ დანაშაულის ორგანიზებისათვის მას ეთათბირებოდნენ. ჰონორარი შემდეგი იყო: 15 დოლარი მოჭრილი ყურისათვის, 19 დოლარი მოტეხილი ფეხისათვის, 25 დოლარი ფეხში ნასროლი ტყვიისთვის, 25 დანით მიყენებული ჭრილობისათვის და 100 მსხვილი საქმისათვის. ზოგჯერ ფორმის შესანარჩუნებლად ისთმენი პირადად ასრულებდა შეკვეთას.

საკონტროლო ტერიტორიებზე დავამ (ისეთივე სპეციფიკურმა და უქმურმა, როგორც ის დავებია, საერთაშორისო სამართლის ნორმები რომ აჭიანურებენ) ისთმენი სხვა ცნობილი დაჯგუფების ლიდერთან, ვინმე პოლ კელისთან დააპირისპირა. მაშინ დაპირისპირება პატრულის ტყვიების ზუზუნმა და ჩხუბმა გადაწყვიტა, საზღვრები მოინიშნა. ერთხელ, ალიონზე, ისთმენმა მონიშნული ტერიტორია გადაკვეთა, სადაც ხუთი ადამიანი დაესხა თავს. თავბრუდამხვევად

სწრაფი, მაიმუნის მსგავსი მკლავებისა და ხელკეტის წყალობით მოწყმა სამი იქვე მიაწვინა, მაგრამ დარჩენილებმა მუცელში ორი ტყვია დაახალეს და რადგან ეგონათ მოკვდაო, ქუჩაში მიაგდეს. ისთმენმა ცერა და საჩვენებელი თითი ნატყვიარზე მიიღო და ლოთივით ფორთხვით მიაღწია საავადმყოფომდე. ბრძოლა სიცოცხლეს, მაღალ ტემპერატურასა და სიკვდილს შორის რამდენიმე კვირა გაგრძელდა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე არავინ დაუსმენია. როცა საავადმყოფოდან გამოეწერა, გარდაუვალი გახდა ომი, რომელიც ათას ცხრაას სამი წლის ცხრამეტ აგვისტომდე მძვინვარებდა.

რივინგტონის შეტაკება

ასობით გმირმა, ბუნდოვნად რომ გაირჩევინათ მათ საქმეში გაფანტულ ფოტოებზე, ასობით თამბაქოს სუნითა და ალკოჰოლით გაჟღენთილმა გმირმა, ასობით გმირმა ფართოფარფლიან ქულზე მოხვეული ფერადი ლენტით, ასობით უამრავი დაავადების მქონე გმირმა, მძიმე თუ მსუბუქ ფორმებში რომ აქვთ კარიესი, თირკმლისა და სასუნთქი გზების დაავადებები, ასობით უმნიშვნელო თუ დიდებულმა ნაძირალამ ტროლეებისა და ხუნინელების მსგავსად, უკუნეთ ღამეს შემადღებელი თადის ქვეშ შეტაკება მოაწყო. დაპირისპირების მიზეზი გახდა ერთგვარი გადასახადი, რომელსაც კელის ბიჭები ითხოვდნენ სათამაშო სახლის მფლობელ მონკ ისთმენის მეგობრისგან. როცა ბანდის ერთ-ერთი წევრი მოკლეს, ტყვიების ზუზუნი ჰისტოლოგების უთვალავ ოდენობაში გადაიზარდა. დაქირავებული ავტომანქანების ცენტრში შემადღებულ ბოძებს ამოფარებული წვერიანი კაცები უსიტყვოდ ეცემოდნენ ძირს, მუშტი კი კოლტის რევოლვერისთვის კუმტად შეეკრათ. რას გრძნობდნენ ნეტავ ამ შეტაკების მონაწილეები? პირველი (ალბათ) - ველურ რწმენას, რომ ასობით რევოლვერის უწესრიგო გრუხუნი მიწასთან მყისიერად გაასწორებდა მათ, მეორეც (ალბათ) - სავარაუდოა, მისცემოდნენ საკმაოდ სულელურ იმედს, რომ თუ ისინი პირველმა ტყვიამ არ იმსხვერპლა, ესე იგი, დაუმარცხებელნი იყვნენ. ერთი რამ ეჭვგარეშეა - რკინის სანგრებს შეფარულები და ღამის ბინდში გახვეულები, გაცხარებით იბრძოდნენ. პოლიციამ ორჯერ სცადა ჩარეულიყო ბანდების ქუჩურ გარჩევებ-

ში, მაგრამ ორჯერვე ჩამოიშორეს. ალიონის პირველი სხივებისთანავე, შეტაკება ისე ჩაკვდა, თითქოს უცენზურო ან სპექტრული სანახაობა ყოფილიყო. რკინის დიდ თაღებქვეშ ეყარა შვიდი მძიმედ დაჭრილი, ოთხი გვამი და ერთი მკვდარი მტრელი.

ხრაშუნი

პოლიტიკური ფიგურები, რომელთაც მონკ ისთმენი სამსახურს უწევდა, საჯაროდ ყოველთვის უარყოფდნენ რომელიმე ბანდის არსებობას, ან უკიდურეს შემთხვევაში, აცხადებდნენ, რომ ლაპარაკი იყო ახალგაზრდებისაგან შემდგარ ჯგუფზე, რომელსაც მხოლოდ გართობა სურდა. რივინგტონის სასტიკმა შეტაკებამ ყველა გამოაფხიზლა. ორივე ბანდის მეთაურს ზავის დასაღებად უხმეს. კელმა (რომელმაც კარგად იცოდა, რომ პოლიტიკოსებს კოლტის რევოლვერებზე უკეთ შეეძლოთ პოლიციის მოვალეობის აღსრულება), მაშინვე თქვა "დიახ", ისთმენს კი (თავისი ბრუტალური აღნაგობისგან გათამამებულს) სროლა და ბრძოლა სწყუროდა. რადგან ზავზე სასტიკი უარი განაცხადა, იძულებულები გახდნენ, ციხით დამუქრებოდნენ. ბოლოს ორი გამოჩენილი ბოროტმოქმედი ბარში სათათბიროდ დასხდა, პირში სიგარა გაირჭვეს, მარჯვენა რევოლვერს ჩასჭიდეს და იარაღიანი ბიჭებით გარშემორტყმულები წმინდა ამერიკულ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ: დაე, დავა კრივში დაპირისპირებას გადაეწყვიტა. კელი შესანიშნავი მოკრივე იყო. მატჩი ფარდულში გაიმართა და ბრწყინვალე გამოდგა. შერკინებას ას ორმოცი ადამიანი დაესწრო, მათ შორის მოღრეცილქუდიანი კაცები და მაღალი, მონუმენტური ვარცხნილობის ქალები. დაპირისპირებამ ორ საათს გასტანა და ერთმანეთის დალილავებით დასრულდა. ერთი კვირის თავზე ტყვიები კვლავ ნაპერწკლებს ყრიდნენ. მონკ ისთმენი, უკვე მერამდენედ, დააპატიმრეს. მისმა მფარველებმა შვებით ამოისუნთქეს. მოსამართლემ ისთმენს, ყველაფრის გათვალისწინებით, ათი წლით ციხე მიუსაჯა.

ისტმენი გერმანიის წინააღმდეგ

როცა ჯერ კიდევ დაბნეული მონკი სინგ-სინგის ციხიდან გამოვიდა, მისი ათასორასკაციანი ბანდა უკვე დაშლილიყო. მათი ხელახლა მოკრება ვერ შეძლო და გადაწყვიტა დამოუკიდებლად ემოქმედა: 1917 წლის 8 სექტემბერს საჯარო დებოში მოაწყო, ამავე წლის 9 სექტემბერს გადაწყვიტა სხვა ქაოსში მიეღო მონაწილეობა და ქვეითთა სამხედრო დანაყოფში ჩაეწერა.

მისი სამხედრო კარიერიდან ბევრი რამ ვიცით. გამალებით ეწინააღმდეგებოდა ტყვეთა აყვანას, რის გამოც ერთხელ (კონდახის ერთი მოქნევით) ხსენებული ტრადიციისთვის ხელის შეშლაც მოუხდა. ვიცით, რომ საავადმყოფოდან გაიქცა და სანგრებში დაბრუნდა. მონტფოკონის მახლობლად ბრძოლებში თავი განსაკუთრებულად გამოიჩინა. ბოლოს ამბობდა, ბოუერის ცეკვები უფრო საშიშია, ვიდრე ევროპული ომიო.

მისტკური, მაგრამ ლოგიკური დასასრული

1920 წლის 25 დეკემბერს ნიუ-იორკის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე მონკ ისტმენის გვამს დაათენდა. ხუთი ტყვია ჰქონდა ნასროლი. სიკვდილის არმცოდნე ბედნიერი კატა კი დაბნეული, მაგრამ ჩვეული მოძრაობით გარს უვლიდა უკვე გაციებულ გვამს.

წყარო: *The Gangs of New York, Herbert Asbury, New York, 1927*

გულგრილი მკვლელი ბილ ჰარიგანი

პირველი, რაც წარმოსახვის დაძაბვისას გონებაში ჩნდება, არიზონას მიწებია. არიზონასა და ახალი მექსიკის მიწები, მდიდარი ვერცხლისა და ოქროს ცნობილი საბადოებით, თავბრუდამხვევი და ჰაერით გაჯერებული, მონუმენტური მესეტებისა და დახვეწილი ფერების მიწა, რომელიც ჩიტებისაგან გაკენკილი ჩონჩხებითაა მოფენილი. მეორე, რაც ამ მიწებზე ფიქრისას წარმოსახვაში ჩნდება, ბილი ქიდის (Billy the kid) სახეა: ესაა ცხენზე ამხედრებული კაცი, მძიმე პისტოლეტებით, რომლის ხმა აყრუებს უდაბნოს, უხილავი ტყვიები ისე კლავს დიდ მანძილზე, თითქოს მაგიურია.

ვხედავ მეტალით უხვ უდაბნოს, ცხელს და კამკამას. ჯერ კიდევ ბავშვ ბილის, რომელიც მართალია, 21 წლისა მოკვდა, მაგრამ ამ დროისთვის ადამიანური მართლმსაჯულების წინაშე ვალი 21 მკვლელით მოეხადა - "არაფერს ვამბობ მექსიკელებზე".

ჭუპრის სტადია

1859 წელს, კაცი, რომელსაც შიშმა და დიდებამ მეტსახელი "ბილი ქიდი" მოუტანა, ნიუ-იორკის მიწისქვეშა ჯურღმულში მოეკვლინა ქვეყანას. ამბობენ, რომ სიცოცხლე ირლანდიელი ქალის დადლილმა საშომ აჩუქა, თუმცა ზანგებს შორის გაიზარდა. აქოთებულ და ლაქიან ქაოსში მოიპოვა პირველობა, რომელსაც ჭორფლები და ჟღალი თმები აძლევდა. ამაცობდა, რომ თეთრკანიანი დაიბადა. გამხდარი, ველური და ფლიდი იყო. თორმეტი წლისა გაწევრიანდა "ჭაობის ანგელოზების" (Swamp angels) ბანდაში, რომლის წევრი ზეციური არსებები ძირითადად ბინძურ ადგილებში ძროშიალით ირთობდნენ თავს.

ისინი, როგორც წესი, აქოთებულ და ნისლიან ღამეს მოულოდნელად ჩნდებოდნენ მყრალი ლაბირინთებიდან, რომელიმე გერმანელი მეზღვაურის კვალს იღებდნენ, მყარი საგნის ჩარტყმით გონს აკარგვინებდნენ, საცვლების ამარა ტოვებდნენ და სხვა ნადავლისკენ მიემართებოდნენ. მათ ხელმძღვანელობდა შეჭადარავებული ზანგი, ვინმე გას ჰაუზერ ჯონასი, ცნობილი, როგორც ცხენთა მომწამვლელი.

ხანდახან ისეც ხდებოდა, რომ წყლის გაყვანილობასთან ახლოს მდგარი რომელიმე მოღრეცილი სახლის სახურავიდან ვიდაც ქალი ნაცრით სავსე ვედროს გადმოაპირქვავენდა. საბრალო გამვლელი ხელებს იქნევდა და იგულებოდა. "ჭაობის ანგელოზები" უმაღ მივარდებოდნენ მსხვერპლს, შეათრევდნენ რომელიმე ჯურღმულში და უმოწყალოდ დარცვავდნენ.

ასეთი იყო ბილ ჰარიგანის, მომავალი ბილი ქიდის შემეცნების წლები. ქიდს თეატრალური წარმოდგენებიც არ დარჩენია ყურადღების მიღმა (ალბათ მაშინ ვერც ხედავდა კოვბოურ სიმბოლოებსა და მინიშნებებში საკუთარ ბედისწერას) და კოვბოებზე მელოდრამებს სიამოვნებით უყურებდა.

GO West!

ხალხით გადაჭედილ ბოუერის თეატრებში (სადაც მაყურებლები წარმოდგენის დაგვიანებისას გაჰყვიროდნენ: "ეგ ჩვარი ასწიეთ!") ყველაზე ხშირად ცხენზე ამხედრებული კოვბოებისა და სროლის სცენები იდგმებოდა, რაც ძალიან მარტივი ასახსნელი იყო, მაშინდელ ამერიკას ხომ ასე მიუწევდა გული ველური დასავლეთისაკენ. დასავლეთს მიღმა ნევადისა და კალიფორნიის ოქრო უხმობდა ხალხს. იქ იყო უზარმაზარი კედლების შემმუსრავი ნაჯახები, ბიზონთა დიდი, ბაბილონური ფიზიონომია, უზარმაზარი ქუდები, ბრიგამიანგის მრავალთახიანი საცხოვრებელი, წითელკანიანთა რიტუალები და მრისხანება, უდაბნოს მოწმენდილი ცა, უკიდვანო პრერიები და ნაყოფიერი მიწები, რომელთა სიახლოვე გულს ისე აჩქარებდა, როგორც ზღვასთან სიახლოვე. დასავლეთი უხმობდა. გამუდმებული რიტმული ძახილი თან ახლდა იმ წლებს: ათასობით ამერიკელის ძახილი, დაეპყროთ დასავლეთი. სწორედ ამ პროცესში ჩაერთო უნებლიეთ ყოველთვის იტბლიანი ბილ ჰარიგანი, რომელმაც 1872 წელს, ოთხ კედელში გამომწყვდეულმა, გაქცევით უშველა თავს.

მექსიკელის განადგურება

ამ ისტორიას (რომელიც ვიღაც კინორეჟისორის ნაშრომის მსგავსად, ფრაგმენტული სცენებისაგან შედგება), გადავყავართ საშიშ, უცნობ ტავერნაში, რომელიც ისე ჩაკარგულა ყოვლისშემძლე უდაბნოს წიაღში, თითქოს შუა ზღვაში იყოს. მოქმედების დრო 1873 წლის ცივი დამეა, მოქმედების ზუსტი ადგილი ლანო ესტაკადო (ნიუ-მექსიკო). მიწა არაბუნებრივად გლუვია, მაგრამ მთვარიანი ცა, რომელსაც მყუდროებას ჭექა-ქუხილი უმღვრევს, სავსეა უფორმო დრუბლებით, სიღრმეებითა და მთებით. მიწაზე საქონლის თავის ქალა გდია, ისმის ყეფა, მოჩანს კოიოტების თვალები სიბნელეში, სუფთა სისხლის ცხენები და შუქი ტავერნის კარებიდან. შიგნით ერთადერთ დახლზე დაყრდნობილი, დაღლილი და ყოვლისშემძლე კაცები მაცოცხლებელ ალკოჰოლს სვამენ და არწივისა და გველის გამოსახულებიანი ვერცხლის მონეტებით ტრაბახობენ. მთვრალი კაცი უნიათოდ მდერის. საზიზღარი ტიპები იმ ენაზე ლაპარაკობენ, რომელშიც სჭარბობს ასო "ს", წესით, ესპანური უნდა იყოს. ბილ ჰარიგანი - ეს მიწურის ჟღალი ვირთხა, მსმელებს შორისაა. უკვე მოუსწრია რამდენიმე ჭიქა არყის გადაკვრა, კიდეც უნდა, მაგრამ ყოყმანობს, შეუკვეთოს თუ არა, ალბათ ერთი სენტავოც კი ადარ უგდია ჯიბეში. უდაბნოს ხალხი თრგუნავს. ისინი ხომ მრისხანე, გოროზი, ბედნიერი ხალხია, მაღალი ცხენებისა და ფერმების შესაშურად კარგი მეპატრონეები.

უცებ ისადგურებს სამარისებური სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ ლოთის ღიღინი არღვევს. შემოდის ყოვლისშემძლე ბიჭებს შორის ყველაზე ძლევამოსილი მექსიკელი, რომელსაც სახე ხნიერ ინდიელს მიუგავს. თავს უმშვენებს უზარმაზარი სომბრერო, გვერდებს პისტოლეტები. დამტვრეული ინგლისურით ყველა ძაღლისშვილ გრინგოს მშვიდობიან სადამოს უსურვებს. გამოწვევას არავინ პასუხობს. ბილი კითხულობს, ვინაა ეს კაცი, ყურში ჩურჩულით ჩაესმის, რომ ეს დაგო იგივე დიეგოა ანუ - ბელისარიო ვილიაგრანი ჩიჭუაჭუადან. იმავე წამს ისმის სროლის ხმა. ბილის ტყვია მაღალი კაცების კორდონს არღვევს და უცხოს ხვდება. ჯერ ვილიაგრანის ჭიქა ვარდება, მერე მისი სხეული ეცემა ძირს. მეორე ტყვია არცაა საჭირო. ბილი მკვდრისთვის შეხედვას არც კადრულობს და ლაპარაკს აგრძელებს: "მართლა? მე კი

ბილ ჰარიგანი ვარ ნიუ-იორკიდან". ის ლოთი კვლავ უნიათოდ მდერის.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ აპოთეოზი. ბილს მაგრად უჭერენ ხელზე, ხოტბას ასხამენ, გაჰყვირიან ვაშას და ვისკით უმასპინძლდებიან. ვიდაც ამჩნევს, რომ ბილის რევოლუვერზე არაფერია დატანილი და მას ვილიაგრანის სიკვდილის აღსანიშნად წარწერის გაკეთებას სთავაზობს. ბილი ვიდაცის ჯაყვას სამახსოვროდ იტოვებს, მაგრამ ამბობს: „არ ღირს მექსიკელის აღნიშვნა". როგორც ჩანს, ამბავი ამით არ მთავრდება, ბილი იმ ღამეს გვამთან ახლოს შლის საბანს და ცისკრამდე ყველას თვალწინ სძინავს.

მხოლოდ იმიტომ, რომ მკვდარია

ამ იღბლიანი გასროლის წყალობით (თოთხმეტი წლის ასაკში) დაიბადა გმირი ბილი ქიდი და მოკვდა გაქცეული ბილ ჰარიგანი. მოზარდი, რომელიც ჯურღმულებში გამვლელებს ქვით უსწორდებდა, საზღვრებს გასცდა. კოვბოიდ იქცა. ისწავლა ცხენზე გამართულად ჯდომა, როგორც ამას ვაიომინგში ან ტენასში აკეთებენ, ტანს უკან არ აგდებდა, როგორც ეს ორეგონში ან კალიფორნიაშია. მართალია, ვერ შეძლო ბოლომდე მიახლოვებოდა საკუთარ ლეგენდარულ იმიჯს, მაგრამ მასთან ძალიან ახლოს იყო. ამ კოვბოიში ყოველთვის იყო რაღაც ნიუ-იორკელი ბაქიასი. მექსიკელებში იმ სიძულვილს იწვევდა, რასაც მანამდე ზანგები გრძნობდნენ მის მიმართ, თუმცა, მისი უკანასკნელი სიტყვები (საკმაოდ უხამსი) სწორედ ესპანურად ითქვა. ხეტიალი საქონლის გადამყიდველებისაგან ისწავლა. სხვა, უფრო რთულ ხელობასაც დაეუფლა: ადამიანების განკარგვას. ორივე თვისება გამოადგა, ფერმის წარმატებული ქურდი გახდა. ზოგჯერ გიტარა და მექსიკური ბორდელებიც იზიდავდა.

უძილობის მიუხედავად, მუდმივად ფხიზლად მყოფი ხალხმრავალ ორგიებს აწყობდა, რომელიც ოთხ დღესა და ოთხ ღამეს გრძელდებოდა. ბოლოს ესეც რომ ბეზრდებოდა, ანგარიშს ტყვიით ასწორებდა. სანამ თითი სასხლეტზე ედო, ყველაზე საშიში (იქნებ ყველაზე უბადრუკი და ეული) კოვბოი იყო იმ არემარეში. გარეტმა, მისმა მეგობარმა, რომელიც მერე შერიფმა მოკლა, ერთხელ უთხრა: "სროლა

კარგად რომ მესწავლა, ბიზონებს ვხოცავდი", ბილმა მშვიდად უპასუხა: "მე მაგ საქმისთვის ადამიანებს ვესვრი". დეტალების დაზუსტება ძნელია, მაგრამ ვიცით, რომ მის კისერზე ოცდაერთი მკვლელობა იყო, "თუ არ ჩავთვლით მექსიკელებს". მომღვეწო შვიდი სარისკო წლის განმავლობაში თამამად სარგებლობდა იმ ფუფუნებით, გამბედაობა რომ ჰქვია.

1880 წლის 25 ივლისის დამე იყო, ბილი თოხარიკით მიუყვებოდა ქალაქის მთავარ, შეიძლება ითქვას, ერთადერთ - ფორტ სამნერის ქუჩას. სიცხე აჭერდა, ფარნები ჯერ არ იყო ანთებული. კომისარმა გარეტმა, რომელიც სახლის დიდ აივანზე სარწევ სავარძელში იჯდა, ხელი სტაცა რევოლვერს და ბილს ტყვია მუცელში დაახალა. მას ცხენიც მიჰყვა, მხედარი მიწაზე დაენარცხა. გარეტმა მეორე ტყვიაც მიაყოლა. ხალხმა (უკვე იცოდა, რომ დაჭრილი ბილი ქიდი იყო) ფანჯრები ჩარაზა. აგონია ხანგრძლივი და მკრეხელური გამოდგა. დიდი ხანი გრძელდებოდა და მსხვერპლის ხმა ზეცას შეურაცხყოფდა. მზე კარგა ხნის ამოწვერილი იყო, როცა ბილს მიუახლოვდნენ და იარაღი მოაშორეს. კაცი მკვდარი იყო. ისეთი უბადრუკი შესახედაობა ჰქონდა, როგორც მკვდრებს აქვთ.

ბილი გაპარსეს, შესაფერის ტანსაცმელში გამოაწყვეს და დასაშინებლად და სამასხარაოდ საუკეთესო მაღაზიის ვიტრინაში გამოდეს. ცხენზე ამხედრებული და კარეტას შეფარებული კაცები მის სანახავად მიმდებარე ტერიტორიებიდანაც მოდიოდნენ. მესამე დღეს ცხედარი დაამუშავეს. მეოთხე დღეს გვამი ჟივილ-ხივილით დამარხეს.

წყარო: A Century of Gunmen, Frederick Watson, London, 1931, The Saga of Billy the Kid, Walter Noble Burns, New York, 1925.

ცერემონიათა წინდაუხედავი ოსტატი კოტსუკე-ნო-სუკე

ამ თავის სამარცხვინო გმირი, ცერემონიათა წინდაუხედავი ოსტატი, კოტსუკე-ნო-სუკეა, უბედური ადამიანი, რომლის გამოც აკოს კოშკის მეპატრონე შეარცხვინეს და სიკვდილით დასაჯეს. როცა ჩვენს გმირს დამსახურებული შურისძიება ეწვია, არ ისურვა დიდგვაროვანივით ღირსეულად მომკვდარიყო. თუმცა, ეს კაცი ნამდვილად იმსახურებს ადამიანთა პატივისცემას, რადგანაც შეძლო მათში ერთგულებისა და თავდადების გრძნობა გაეღვიძებინა, უკვდავი საქმის აღსასრულებლად უღირსი, მაგრამ აუცილებელი საქციელი ჩაიდინა. ამ ამბავზე დაიწერა უამრავი რომანი, მონოგრაფია, სადოქტორო დისერტაცია, ოპერეტა, აღარაფერს ვამბობთ ფაიფურზე ამოტვიფრულ საქებარ სიტყვებზე, რომელიც ლაზურიტიისფერი სითხით მოიხატა. თუმცა ამისთვის ცელულოიდის ნაცრისფერი ფირიც კმარა, რადგანაც ამბავი ორმოცდაშვიდი თავდადებული მეომრისა, როგორც მათ დღეს მოიხსენიებენ, იაპონურ კინემატოგრაფიას დღესაც ყველაზე ხშირად შთააგონებს. ეს უდიდესი ყურადღება ჯეროვანია - რადგან ამ ამბის ქეშმარიტება თითოეული ჩვენგანისთვის გამოსადეგია.

მისვლევ ა.ბ. მიტფორდის სტილს, რომელსაც ისტორიის მისეულ ვარიანტში გამოტოვებული აქვს ლოკალურ ფერთა აღწერილობანი და ურჩევნია სახელოვან ეპიზოდებზე გაამახვილოს ყურადღება. „ორიენტალიზმის“ ეს პოზიტიური ნაკლებობა ბადებს ეჭვს, რომ საქმე გვაქვს პირდაპირ იაპონურ ვერსიასთან.

გახსნილი თასმები

1702 წლის ადრეული გაზაფხული იდგა. აკოს კოშკის ღვაწლმოსილ მეპატრონეს იმპერატორის მოგზავნილი კაცი უნდა მიეღო საკუთარ ქერქვეშ. თავაზიანობის ორი ათას სამას წელს (რომელიც ხშირად მითოლოგიური იყო), საშინლად გაერთულებინა ოფიციალური მიღების ცერემონიალი. მოგზავნილი პირი მისი უდიდებულესობის

სახე იყო. არსებობდა ნიუანსები, რომელიც შეუფერებელი ჩანდა მეტიისმეტი გადატვირთვის, ან პირიქით, შემსუბუქების გამო. ფატალური შეცდომის თავიდან ასარიდებლად, მოწვეულ იქნა იედოს კარის ცერემონიათა ოსტატი. კარის თავაზიანობისაგან შორს მდგარი და ველურობით გამორჩეული კირა კოტსუკე-ნო-სუკე უტიფრად იძლეოდა მითითებებს. ზოგჯერ მბრძანებლურ ტონს თავხედურად უწევდა. მისი მოსწავლე, კოშკის მეპატრონე ოსტატის ხუმრობებს არ იმჩნევდა. კარგი აღზრდა იძულებულს ხდიდა, არ შეჰასუნებოდა და უარი ეთქვა ძალადობაზე. ერთ დილას, ოსტატს ფეხზე თასმა გაეხსნა. ამ უკანასკნელმა მასპინძელს მოსთხოვა, შეეკრა იგი. კეთილშობილმა რაინდმა უხმოდ შეასრულა თხოვნა, წყენა კი გულში დაიტოვა. ცერემონიათა თავხედმა ოსტატმა შენიშვნა მისცა, უთხრა, რომ მხოლოდ გაუთლელ ხეპრეს შეეძლო ასეთი მოუხერხებელი ნასკვის გაკეთება. განრისხებულმა კოშკის მეპატრონემ ხელი ხმალს იკრა და ოსტატს აუქნია. ამ უკანასკნელმა მისი არიდება მოახერხა, მაგრამ სისხლის აღისფერი კვალი შუბლზე სამუდამოდ დაეტყო. რამდენიმე დღეში სამხედრო ტრიბუნალი განაჩენს კითხულობდა, ბრალდებულს თვითმკვლელობა მიესაჯა. აკოს კოშკის მთავარ ეზოში აღიმართა სცენა, რომელიც დაიფარა წითელი ნაჭრით. განსასჯელი მასზე ავიდა. ბრალდებულს გადაეცა ოქროთი და ძვირფასი ქვებით გაწყობილი ხანჯალი, რის შემდეგ მან დანაშაული საჯაროდ აღიარა, წელს ზევით გაიხადა და ორი რიტუალური ჭრილობით მუცელი გამოიფატრა. მოკვდა ისე, როგორც სამურაის შეჭვერის, შორს მდგარ მაყურებელს სისხლი არ შეუმჩნევია, რადგანაც ნაჭერი წითელი ფერისა იყო. შეჭადარავებულმა და ფრთხილმა მეომარმა მახვილით მოკვეთა თავი: ეს განლდათ მრჩვეული კურანოსკე, მისი ნათლია.

მოჩვენებითი სახელგატეხილობა

ტაკუმი-ნო-კამის კოშკი ჩამორთმეულ იქნა. კაპიტნები მიმოიფანტნენ, ოჯახი დაიქცა და გაოხრდა, მისი სახელი წყევლას მიეცა. ხმები დადიოდა, რომ იმ საღამოს, როცა მან თავი მოიკლა, მისი ორმოცდაშვიდი მეომარი ერთად შეგროვდა მთის წვერზე და შეიმუშავა მოქმედების გეგმა, რომელიც სრულად მხოლოდ ერთი წლის შემდეგ განხორციელდა. შეხვედრა ნამდვილად შედგა, ოღონდ არა მთის

მიუვალ ადგილას, არამედ ტყის სიღრმეში, თეთრი ხის მოკრძალებულ ნაგებობაში, რომელსაც მხოლოდ მართკუთხა, სარკიანი კარადა ამშვენებდა. შეკრებილებს სწყუროდათ შურისძიება, რომელიც მაშინ მიუღწეველი ჩანდა.

კირა კოტსუკე-ნო-სუკემ, ცერემონიათა აუტანელმა ოსტატმა თავისი სახლი გაამაგრა, მოისრეებისა და მოფარიკავეების არმია დაიყენა დაცვად. ყველგან ჰყავდა მოუსყიდავი, მოწესრიგებული და იღუმალის ჯაშუშები. არავის ისე არ აკვირდებოდნენ და უთვალთვალედნენ, როგორც შურისმაძიებელთა სავარაუდო მეთაურს, მრჩეველ კურანოსკეს. ამ უკანასკნელს ეს ამბავი შემთხვევით შეეტყო და ამ დროისათვის შურისძიების გეგმა უკვე შეემუშავებინა.

მრჩეველი კიოტოში გადასახლდა, შემოდგომის ფერებით განთქმულ დაუმარცხებელ ქალაქში. საჯაროდ ერთობოდა სათამაშო სახლებსა და ტავერნებში. ჭადარის მიუხედავად, კახვებში, პოეტებსა და დატაკ ხალხში ატარებდა დროს. ერთხელ ტავერნიდან გამოაგდეს და დილამდე კარის ზღურბლზე ეძინა თავისსავე ნარწყევში ჩამხობილს.

ერთ-ერთმა გამვლელმა, კაცმა სატსუმადან, იცნო და სევდანარევი ხმით მრისხანედ მიმართა: "შენ ასანო-ტაკუმი-ნო კამის მრჩეველი არა ხარ? ადამიანი, ვისაც ბატონის სიკვდილისათვის ხელი არ შეუშლია, შურისძიების ნაცვლად სიტკბობას მისცემიხარ და სირცხვილის ჭაობში ჩაფლულხარ. ოჰ, შენ სამურაის სახელის უღირსო მატარებელი!"

კაცი მის ნამძინარევ სახეს ფეხით შესდგა და შეაფურთხა. როცა ეს ამბავი ჯაშუშებმა კოტსუკე-ნო-სუკეს აუწყეს, ამ უკანასკნელმა სიმშვილე იგრძნო. მრჩეველი ამით არ დაკმაყოფილდა, ცოლი და უმცროსი შვილი სახლიდან გააგდო. ბორდელში საყვარელი იყიდა, რითაც მტრის გული გაახარა და მისი სიფრთხილე მოაღუნა. ამ უკანასკნელმაც დაცვა გაანახევრა.

1703 წლის ზამთრის ერთ სუსხიან ღამეს, ხიდსა და ბანქოს ქარხანასთან ახლოს, იედოს ახლომახლო მდებარე მიტოვებულ ბაღში ორმოცდამშვიდი მეთაური შეიკრიბა. თან ჰქონდათ ბატონის საგვარეულო დროშა. სანამ იქაურობას შტურმით აიღებდნენ, მეზობლები გააფრთხილეს, რომ ეს თავდასხმა კი არა, სამართლიანობის აღმდგენი სამხედრო ოპერაცია იყო.

ნაიარევი

კირა კოტსუკე-ნო-სუკეს სასახლეს ერთბაშად შეუტია ორმა ჯგუფმა. მრჩეველმა პირველ ჯგუფს უხელმძღვანელა და სასახლეში მთავარი შესასვლელიდან შეიჭრა. მეორე დაჯგუფებას მეთაურობდა მრჩევლის თექვსმეტიოდე წლის ვაჟი, რომელიც იმ დამესვე დაიღუპა. ისტორიამ იმ დამისეული კომმარის შესახებ სხვადასხვა ეპიზოდები შემოგვინახა: სარისკო და არათანაბარი დაშვება თოკის კიბეებზე, თავდასხმის გამაყრუებელი ხმა, მცველთა დაბნეულობა, სახლის სახურავზე ჩამწკრივებული მოისრეები, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოებში დამიზნებული ისრები, სისხლით მოთხვრილი ფაიფურები, მწველი სიკვდილი, რომელიც ცინულივით ცივი ხდება, სიკვდილის თავხედობანი და უწესრიგობანი. ცხრა კაპიტანი მოკვდა. არც მცველები იყვნენ მშიშრები და ადვილად დანებებას არ ფიქრობდნენ. შუადამის შემდეგ ყოველგვარი წინააღმდეგობა შეწყდა.

კირა კოტსუკე-ნო-სუკე, ამ თავდადების სამარცხვინო მიზეზი, არსად სჩანდა. არეული სასახლის ყოველი კუთხე გაიჩხრიკა, ყოველი იმედი გადაწურული იყო, როდესაც მრჩეველმა შეამჩნია, რომ ოსტატის ტახტრევანზე საბნები ჯერ კიდევ თბილი იყო. ძებნა განახლდა. მიაგნეს ვიწრო სარკმელს, რომელსაც ბრინჯაოს სარკე ჰფარავდა. დაჩრდილული ეზოს კუთხეში, ქვევით, თეთრებში გამოწყობილი კაცი იდგა. მოცახცახე მარჯვენა ხელში ხმალი ეჭირა. როცა მეომრები ეზოში დაეშვნენ, კაცი უსიტყვოდ ჩაბარდა. შუბლზე ნაიარევი აჩნდა: ტაკუმი-ნოკამის ფოლადის ძველი კვალი. მაშინ გასისხლიანებულმა მეომრებმა აბეზარი კაცის წინაშე დაიჩოქეს, უთხრეს, რომ იმ კოშკის მეპატრონის მსახურები იყვნენ, რომლის გადგურებასა და სიკვდილიც დამნაშავე იყო. სთხოვეს, თავი მოეკლა, როგორც ეს სამურაის შეჰფერის. ამაოდ შესთავაზეს ასეთი პატივი მონურ სულს. ამ კაცისთვის ღირსება უცხო იყო. გამთენიისას მეომრებს მისთვის თავის მოკვეთა მოუხდათ.

მტკიცებულება

შურისძიებით კმაყოფილი (თუმცა მრისხანებას, აღტაცებასა და სინანულს მოკლებული) კაპიტნები იმ ტაძარში გაემართნენ, სადაც მათი ბატონის საოჯახო რელიქვიები ინახებოდა.

მიდიან მეომრები, ჭურჭლით მიაქვთ კირა კოტსუკე-ნო-სუკეს საოცარი თავი და ერთმანეთს ენაცვლებიან წაღებაში. გადიან მდინარეებსა და სოფლებს, დღისით, მზისით. კაცები ლოცავენ და ტირიან. სენდაის პრინცს სურს უმასპინძლოს მათ, მაგრამ კაპიტნები პასუხობენ, რომ თითქმის ორი წელია, ბატონი მათ ელოდება. ბოლოს ბნელ აკლდამასთან მიდიან და მტრის მოჭრილ თავს ძღვენის სახით მიართმევენ ბატონს.

უზენაეს სასამართლოს განაჩენი გამოაქვს. ისაა, რასაც ელოდნენ: პატივი ერგოთ, სიცოცხლე თვითმკვლევლობით დაესრულებინათ. ყველა ასრულებს განაჩენს, ზოგი მეტისმეტი სიმშვიდითაც კი და სამუდამო განსასვენებელს ბატონის გვერდით ჰოულობს. მამაკაცები და ბავშვები მოდიან აკლდამასთან, რათა ილოცონ თავდადებული ადამიანებისათვის.

კაცი სატსუმადან

იმ პილიგრიმებს შორის, ვინც მეომრების საფლავს პატივი მიაგო, დამტვერილი და დაღლილი ყმაწვილიცაა, რომელიც, როგორც ჩანს, შორიდან ჩამოსულა. მუხლს იყრის მრჩეველ ოიში კურანოსუკეს ძეგლის წინაშე და ხმამაღლა ამბობს: "მე გნახე შენ, მეომარო, კიოტოში, სათამაშო სახლის კარის ზღურბლზე განრთხმული და ვერ მივხვდი, რომ გულში შურისძიების ფარული ზრახვა გეღო. უღირსი ჯარისკაცი მეგონე და შეგაფურთხე. მოვედი, რათა გავსწორდე შენთან". თქვა თუ არა ეს, ყმაწვილმა ჰარაკირი გაიკეთა.

მისი სიმამაცით აღტაცებულმა ზედამხედველმა მას იმავე აკლდამაში მოუძებნა ადგილი, სადაც კაპიტნები განისვენებდნენ.

ასეთია ორმოცდაშვიდი ერთგული კაპიტნის ისტორია, თუმცა ამ ამბავს არა აქვს დასასრული, რადგან სხვები, ვინც ასეთი ერთგულნი

არ ვართ, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ, რომ ოდესმე მათ დავემსგავსებოთ, ამ გმირებს პატივს მომავალშიც მივაგებთ.

წყარო: *Thales of Old Japan*, A.B. Mitford, London, 1912.

ნიღბიანი მღებავი ჰაქიმი მერვიდან

ანხელიკა ოკამპოს

თუ არ ვცდები, პირველი წყაროები ალ-მოქანნაზე, რომელსაც უწოდებდნენ "მოციქულს საბურველქვეშ" (ან უფრო ზუსტად, "ნიღბიან წინასწარმეტყველს") ხორასანიდან ოთხ ნაშრომშია შემორჩენილი: ა) ალ-ბალაზურის თხზულებები "ხალიფების ისტორია", ბ) აბასიდების კარის ისტორიკოსის, იბნ-აბი-ტაირ ტარფურის "დიაღთა წიგნი" ან "სიზუსტისა და განხილვის წიგნი", გ) არაბული ხელნაწერი, სახელად "ვარდის განადგურება", რომელშიც განსჯის საგანია ერესული "მუქი ვარდი" იგივე "დამალული ვარდი", რომელიც მოციქულის კანონიკური წიგნი იყო, დ) რამდენიმე უფიგურო მონეტა, აღმოჩენილია ინჟინერ ანდრუსოვის მიერ ტრანსკასპიური რკინიგზის დაგების დროს. ეს მონეტები გამოიფინა თეირანის ნუმიზმატიკის კაბინეტში და მათზე დატანილია სპარსული დისტიქები, რომლებიც "განადგურებიდან" რამდენიმე ტაეპს მოიცავს. "ვარდების" ორიგინალი დაკარგულია, ვინაიდან 1899 წელს გაზეთ Morgenl ä ndisches Archiv მიერ აღმოჩენილი და გამოქვეყნებული ხელნაწერი, აპოკრიფულად გამოაცხადა ჯერ ჰორნმა, მერე სერ პერსი საიკსმა.

მოციქულის დასავლური დიდება უკავშირდება მურის კეთილხმოვან ლექსს, რომელიც გაჟღენთილია ირლანდიელი კონსპირატორის სევდითა და ოხვრით.

მეწამული ფერი

ჰაქიმი, რომელსაც იმ დროსა და ადგილებში მცხოვრებნი მოგვიანებით უწოდებენ "წინასწარმეტყველს საბურველქვეშ", ქვეყანას თურქისტანში მოევლინა ჰიჯრის 120 და ქრისტეს შობიდან 736 წელს. მისი მშობლიური ქალაქი უძველესი მერვი იყო, რომლის ხეხილის ბაღები, ვენახები და მდელოები ნაღვლიანად გასცქერიან უდაბნოს. შუადღე ნათელი და თვალისმომჭრელია, თუ მას მტვრის ბუდი ისე არ

ჩამოაბნელებს, რომ ადამიანები იზრჩობიან, კუნაპეტისფერ ყურ-
დნებს კი მოთეთრო ნალექი ადევს.

ჰაქიმი ამ უდიდამო ქალაქში იზრდებოდა. ვიცით, რომ ბიძამის-
მა მღებავის ხელობა შეასწავლა: ურწმუნოთა, ცრუთა და მერყევთა
საქმე. სწორედ ამ ხელობის გამო მიეცა წყევლა-კრულვას თავისი ნა-
ყოფიერი კარიერის დასაწყისშივე. "ჩემი სახე ოქროსაგანაა (აცხა-
დებს "განადგურების" ცნობილი გვერდი) თუმცა, ვიღებდი სინგურს,
რომელშიც მეორე დღეს ვაწყობდი აწეწილ მატყლს, მესამე დღეს მი-
სით ვჟღინთავდი მზა მატყლს და ვიღებდი ფერს, რომელზეც კუნ-
ძულთა გამგებლები დღესაც დავობენ. ასე ვცოდავდი ახალგაზრდო-
ბაში და საბრალო ქმნილებათა ნამდვილ ფერს სხვა ფერით ვნიღბავ-
დი. ანგელოზი მეუბნებოდა, რომ ცხვრები ვეფხვისფერები არ იყვნენ,
მაგრამ ეშმაკი ჩამჩურჩულებდა, რომ "ძლევამოსილს" სურდა ცხვრე-
ბი ვეფხვებს ჰგვანებოდნენ, ის კი ჩემი ცბიერებითა და მეწამული სა-
ღებავით სარგებლობდა. ახლა უკვე ვიცი, არც ანგელოზი და არც ეშ-
მაკი არ ამბობდა მართალს და რომ ყველა ფერი საზიზღარია".

ჰიჯრით 146 წელს ჰაქიმი მშობლიური ადგილებიდან გაქრა. მის
სახლში მხოლოდ განადგურებული სამღებრო ჭურჭელი, შირაზული
სამფეხი და ბრინჯაოს სარკე დახვდათ.

ხარი

158 წლის შაბანის თვის მიწურულს უდაბნოს ჰავა სუფთა და გამ-
ჭვირვალე იყო, ხალხი დასავლეთით იმზირებოდა და მოუთმენლად
ელოდა რამადანის მთვარეს, რომელსაც თან მოჰქონდა მარხვის და-
საწყისი, სულისა და ხორცის შიმშილი. მათ შორის იყვნენ მონები,
მათხოვრები, ცხენით მოვაჭრეები, აქლემის ქურდები და ყასბები. სა-
ქარავნესთან მიწაზე მყარად მსხდარნი მერვის შარაზე ნიშანს
ელოდნენ. უმზერდნენ დაისს, რომელიც ქვიშისფერი იყო.

უდაბნოს თავბრუდამხვევი წიაღის გულში (რომლის მზეც ციებ--
ცხელებას იწვევს, მთვარე კი ციებას) სამი ფიგურა გამოჩნდა, რომე-
ლიც შორიდან უსასრულოდ მაღალი ჩანდა. სამივე ადამიანს ეკუთ-
ვნოდა. შუაში მდგარს ხარის თავი ჰქონდა. როცა ფიგურები მათ
მიუახლოვდნენ, ხალხმა შეამჩნია, რომ ხარისთავიანს სახე შენიღბუ-
ლი ჰქონდა, ის ორი კი ბრმა იყო.

ვიდაცამ (როგორც "ეს ათას ერთი ღამის" ისტორიებშია) ამ საოცრების მიზეზი იკითხა. "ბრმები არიან - განაცხადა ნიღბიანმა, - რადგანაც ნახეს ჩემი სახე".

ლეოპარდი

აბასიდების მემატიანე ამბობს, რომ ამ ნიღბიანმა კაცმა (რომლის ხმა უჩვეულოდ ხავერდოვანი იყო ან ასე ჩანდა მის ბრუტალურ აღნაგობასთან შედარებით), ხალხს აუწყა, რომ ისინი მართლები არიან, მორჩილად ელიან ერთთვისანი მონანიების დასაწყისს, ის უკეთეს ამბავს წინასწარმეტყველებს: მთელი მათი ცხოვრება იქნება მონანიება და ისინი მტანჯველი სიკვდილით დაიხრცებიან. თქვა, რომ ჰაქიმია, ოსმანის შვილი, და რომ 146 წლის დიდი მიგრაციის დროს სტუმრად ეწვია კაცი, რომელმაც განწმენდისა და ლოცვის მერე მახვილით თავი მოაჭრა და ზეცას აფრინდა. ცად მისი თავი ამ კაცს (რომელიც მთავარანგელოზი გაბრიელი იყო) მარჯვენა ხელის მტევანზე ესვენა, იქ უფალმა ჰაქიმს დაავალა წინასწარმეტყველებას შესდგომოდა და ისეთი ძველი სიტყვები გაუმხილა, რომლის გამეორება ბაგეებს წვადა, მის თვალებს კი ისეთი ბრწყინვალება მიანიჭა, რომ მოკვდავებს მისთვის თვალეებში ჩახედვა აღარ შეეძლოთ. ასეთი იყო ნიღბიანი კაცის განმარტება. როცა ყველა მიიღებდა ახალ სწავლებას, მისი სახე ხილული გახდებოდა მათთვის და ისინი შეძლებდნენ უშიშრად ეცათ თავყვანი მისთვის - ისე, როგორც ანგელოზები სცემდნენ თავყვანს. განაცხადა რა თავისი მისიის შესახებ, ჰაქიმმა ხალხს წმინდა ომის - "ჯიჰადისა" და მოწამებრივი სიკვდილისაკენ მოუწოდა.

მონებმა, მათხოვრებმა, ცხენით მოვაჭრეებმა, აქლემის ქურდებმა და ყასბებმა ჰაქიმს არ დაუჯერეს: ერთხმად უწოდეს "გრძნეული" და "ცრუ". ამ დროს ვიდაცას თან ლეოპარდი მოეყვანა - შესაძლოა, ისეთი სისხლისმელი ჯიშისა, სპარსი მონადირეები რომ წვრთნიან. უდავოა, რომ ლეოპარდმა თავი თავად გაითავისუფლა. მოციქულისა და მისი ორი თანამგზავრის გარდა, ყველა მიმოიფანტა. როცა დაბრუნდნენ, ნახეს, რომ მხეცი დაბრმავებულიყო. ცხოველის მანათობელი და მკვდარი თვალეების შემყურე ადამიანებმა ჰაქიმის იწამეს და მისი ზებუნებრივი შესაძლებლობები აღიარეს.

წინასწარმეტყველი საბურველქვეშ

აბასიდების კარის ისტორიკოსი განსაკუთრებული ენთუზიაზმის გარეშე გვიყვება ჰაქიმის ხორასანში მიღწეული წარმატებების შესახებ. მხარემ, რომელიც თავის ყველაზე ცნობილი ბელადის უბედურებითა და ჯვარცმით აღელვებული იყო, გულითადად მიიღო კამპანა სახის ადამიანის დოქტრინა და მისთვის არც სისხლი დაიშურა, არც ოქრო. (ამ დროისათვის ჰაქიმს თავისი ცხოველური ნიღაბი უკვე შეეცვალა აბრეშუმის თეთრი საბურველით, რომელიც მთლიანად ძვირფასი ქვებით იყო მოოჭვილი. ბანუ აბბას სიმბოლური ფერი შავი იყო, ჰაქიმმა კი თეთრი არჩია - ყველაზე წინააღმდეგობრივი ფერი მცველთა, დამღიანთა და ჩალმიანთა საბურავთათვის). კამპანია წარმატებულად დაიწყო. მართალია, "სიზუსტის წიგნში" ხალიფას დროშები ყველგან გამარჯვებულია, მაგრამ რადგან ამ წარმატებებს ხშირად მოსდევდა გენერლების დათხოვნა და აუღებელი ციხე-სიმაგრეების დატოვება, მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებულმა მკითხველმა კარგად იცის, როგორ უნდა გავიგოთ ეს ყველაფერი. 161 წლის რეჯების თვის დასასრულს, ცნობილმა ქალაქმა ნიშაბურმა ფართოდ გაუღო რკინის კარები შენიღბულ კაცს. 162 წლის დამდეგს იგივე ასტარაბადში მოხდა. ჰაქიმის სამხედრო აქტივობა (როგორც იმ სხვა, უფრო წარმატებული მოციქულისა) გამოიხატებოდა იმით, რომ შეტაკების შუაგულში მდგარ ჟღალ აქლემზე იჯდა და დაბალ ტონალობაში აჟღერებდა რელიგიურ სიმღერებს, რომელშიც ღვთაებრივს ასხამდა ხოტბას. მის ირგვლივ ისრები წუოდნენ, თუმცა არასოდეს დაჭრილა. ისე ჩანდა, თითქოს საფრთხეს შეგნებულად ეძებდა: ერთ ღამეს, მის სასახლესთან მოხეტიალე ავაზაკებს მასთან მისვლა უბრძანა, ყველა გადაკოცნა და ოქრო-ვერცხლი უბოძა.

მართვის მძიმე ტვირთს ექვს თუ შვიდ მიმდევართან ინაწილებდა. ელტვოდა მედიტაციას და სიმშვიდეს: ჰყავდა 114 ბრმა ქალისაგან შემდგარი ჰარემი, რომლის წევრებიც მზად იყვნენ, ნებისმიერ დროს მიენიჭებინათ სიამოვნება მისი ღვთიური სხეულისათვის.

საზიზღარი სარკეები

რაც უნდა სასტიკები და დაუნდობლები იყვნენ, ისლამი ყოველთვის თვინიერად ეპყრობა ღვთის რჩეულებს, მთავარია მათ ერთოდოქსალური რწმენისაგან არ გადაუხვიონ. მოციქულს შესაძლოა, უარი ისედაც არ ეთქვა რაიმე სარგებელზე, მაგრამ მისმა მომხრეებმა, გამარჯვებებმა და იმდროინდელი ხალიფას - მუჰამედ ალ მაჰდის - საქვეყნო მრისხანებამ აშკარა ერესისკენ უბიძგა მას. თავჯარიანობამ დაღუპა, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, მოასწრო ექადაგა თავისი რელიგიური სწავლებანი, რომელიც გაჟღეითილი იყო გნოსტიკური პრეისტორიებით.

ჰაქიმის კოსმოგონიური სამყაროს სათავეში იდგა რაღაც მოჩვენებითი უფალი. მის ღვთაებრივ უდიდებულესობას არ სჭირდებოდა არც წარმოშობა, არც სახელი, არც იერსახე. ეს ღმერთი უცვლელია, მისგან შეიქმნა ცხრა ჩრდილი, რომლებიც თვინიერად ჩაუდგნენ სათავეში პირველ ზეცას. ამ დემიურგიული პირველისაგან იშვა მეორე - სავსე ანგელოზებით, ძალაუფლებითა და ტახტრევანით. მათ, თავის მხრივ, შექმნეს სხვა ცა, ქვემორე მდგომი, მაგრამ პირველის სიმეტრიული. მეორე კონკლავი აირეკლა მესამეში და ასე გაგრძელდა უსასრულოდ, სანამ არ შეიქმნა 999 ზეცა. მათ ხელმძღვანელობს უმაღლესი ცის ღმერთი, სხვა ჩრდილთა ჩრდილი, რომლის ღვთიური წილი ნულის ტოლია.

მიწა, რომელზედაც ჩვენ ვსახლობთ, შეცდომაა, უსახური პაროდია. სარკეები და ადამიანთა მოდგმა საზიზღარია, რადგანაც ამრავლებენ და ამყარებენ ამ შეცდომას. მთავარი ძალა ზიზღია. ორი მთავარი დისციპლინა (აქ წინასწარმეტყველი მათ შორის არჩევანის თავისუფლებას იძლეოდა), რომელმაც შეიძლება ზიზღამდე მიგვიყვანოს, არის თავშეკავება, იგივე მოკრძალება და ხორცის წვრთნა ან გონიერება.

არც ჰაქიმისეული სამოთხე და ჯოჯოხეთი ყოფილა იმედისმომცემი. "მათ, ვინც უარყოფს უფლის სიტყვას, ძვირფას საბურველს და სახეს (ამბობს "დამალული ვარდის" ერთ-ერთი წყევლა) ვპირდები დიდებულ ჯოჯოხეთს 999 ცეცხლის სამეფოში, თითო სამეფოში 999 ცეცხლის მთაა, თითო მთაზე 999 ცეცხლის კოშკია, თითო კოშკში 999 ცეცხლის ოთახია, თითო ოთახში 999 ცეცხლის სარეცელია, სადაც

ცოდვილი 999 ფორმის ცეცხლის ალში (რომელსაც მისი ხმა და სახე ექნება) დაიწვება და უსასრულოდ დაიტანჯება". სხვაგან ამ აზრს იმეორებს: "ამ ცხოვრებაში იტანჯებით ერთ სხეულში, საიქიოსა და იმ სამყაროში უთვალავი სხეული გექნებათ სატანჯველად". სამოთხე ნაკლებად კონკრეტულია: "იქ მუდამ დამეა და ყველგან წმინდა წყლით სავსე ქვის თასები დგას და ბედნიერება, რომელიც სამოთხეს მოაქვს, არის სიმშვიდე, რომელიც ჩამოჰგავს განშორებას, უარყოფასა და თვლემას".

სახე

მიგრაციის 163-სა და კაშკაშა სახის მეხუთე წელს ჰაქიმი სანამში ხალიფას ჯარებმა შეიპყრეს. შემოწმება და წამება არ დაჰკლებია, დამატებით "სინათლის ანგელოზებიც" ეხმარებოდნენ. სწორედ მის ტანჯვაში იყვნენ, როცა ციხე-სიმაგრე საშინელმა ჭორმა მოიცვა. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ ქალს ჰარემიდან, რომელსაც საჭურისები მოხრჩობას უპირებდნენ, ყვირილი აუტეხავს, წინასწარმეტყველს მარჯვენა ხელის ცერა თითი და დარჩენილ თითებზე ფრჩხილები აკლიაო. ერთგულ ხალხს შორის ხმა უცებ გავრცელდა. შემადღებულ ტერასაზე, მზის გულზე მდგარი ჰაქიმი თავის გამარჯვებასა და ღვთიურ ნიშანზე ლაპარაკობდა. ორმა თავჩახრილმა კაპიტანმა, თითქოს წვიმას გაურბიანო, ჰაქიმს ძვირფასი ქვებით მოოჭვილი საბურველი ჩამოგლიჯა.

თავიდან ყველა შეკრთა. მოციქულის თითქოსდა ზეცაში ნამყოფი სახე სრულიად თეთრი იყო. ისეთი თეთრი, კეთრით დაავადებულებს რომ აქვთ. იმდენად მახინჯი იყო, რომ სახე ნიღაბს მიუგავდა. წარბები არ ჰქონდა, მარჯვენა თვალის ქვედა ქუთუთო ლოყაზე ეკიდა, ჭლექის მძიმე კვალს მისი ტუჩები მოეჭამა. ცხვირი ისეთი არაადამიანური და მიჭყლეტილი ჰქონდა, თითქოს ლომისააო.

ჰაქიმის ხმით უკანასკნელი ტყუილი გაისმა: "თქვენი საზიზღარი ცოდვების გამო არ შეგიძლიათ ჩემი ბრწყინვალეების დანახვა..." - წამოიწყო მან.

მისთვის არავის მოუსმენია. შუბით განგმირეს.

წყარო: *A History of Persia, Syria, London, 1915, De Vernitzhtung der Ghosse, Alexander Schultz, Leipzig, 1927.*

კაცი ვარდისფერი შესახვევიდან

ენრიკე ამორიძს

"ესე იგი, გსურთ აწ განსვენებულ ფრანსისკო რეალზე გესაუბროთ. მე მას ვიცნობდი. თავის უბანში არ გამიცნია, რადგან ხშირად დახეტილობდა ჩრდილოეთში, სადაც გვადალუპესა და ბატერეის ტბებია. სულ სამჯერ თუ შევხვდით ერთმანეთს, ისიც იმ დამეს, რომელსაც ვერასოდეს დავივიწყებ, რადგანაც სწორედ იმ დამეს მოვიდა ლუხანერა ჩემს რანჩოში დამის გასათევად, როსენდო ხუარესმა კი სამუდამოდ დატოვა არიოი. თქვენ, რა თქმა უნდა, სათანადო გამოცდილება არ გაქვთ და ეს სახელი არაფერს გეუბნებათ, მაგრამ როსენდო ხუარესი, მეტსახელად "ჩხუბისთავი", ერთ-ერთი ის ადამიანი იყო, ვილია სანტა რიტას მიწაზე ამაყად რომ დააბიჯებდა. ჯაყვისთვის ზედგამოჭრილი კაცი იყო, დონ ნიკოლას პარედესის ბიჭებიდან ერთ-ერთი, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მორელის კაცი გახლდათ. დამდამობით, ხშირად ჩნდებოდა კილომბოებში. ძალღი თუ კაცი, ყველა პატივს სცემდა, ქალებიც კი. არავინ უარყოფდა, რომ მის კისერზე ორი მკვდარი იყო. ჯაგარივით თმაზე მაღალი ჩამბერგო ედო, წვრილი ხაზებით. როგორც ამბობენ, იღბლიანი იყო. ლავილიას ბიჭები ყველაფერში ვბაძავდით, იმდენად, რომ მასავით ვიფურთხებოდით. იმ ერთადერთმა დამემ დაგვანახვა, როგორი იყო როსენდო სინამდვილეში.

მოთხრობას ჰგავს, მაგრამ იმ უცნაური დამის ისტორია ფერად-თვლიანი ფურგონის მოსვლით დაიწყო, რომელიც პირთამდე იყო ხალხით გავსებული და ჯაყჯაყით მოუყვებოდა მყარი თიხის ვიწრო ქუჩებს აგურის გამოსაწვავ ღუმელებს შორის. შავებში ჩაცმული ორი კაცი გიტარაზე უკრავდა და ყმუოდა, მეეტლე მათრახით იგერიებდა ცხენებზე გაწეულ ძაღლებს. შუაში ჩუმად იჯდა პონჩოში გახვეული ადამიანი, სახელად "მჩეხავი", რომელიც საჩხუბრად და მოსაკლავად მოდიოდა. გრილი, დალოცვილი დამე იყო. ორი კაცი ფურგონის უკანა მხარეს მდუმარედ იწვა. ასეთი იყო იმ ამბის დასაწყისი, მოგვიანებით კი ბევრი რამ შევიტყვეთ. ბიჭები დილიდანვე შევიკრიბეთ ხულიას სალონში - თუთიის მასალით შემოსაზღვრულ ბარაკში, გაუნასა და მალდონადოს გზებს შორის რომ იყო. ადგილის გარჩევა შორიდან

ადვილად შეიძლებოდა, რადგანაც ფარანი უსირცხვილოდ ანათებდა ყველაფერს და მუდამ ჟრიამული იდგა. მართალია, იქაურობა საკმაოდ მოკრძალებული იყო, ხელია, იქაურობის შეგნებული და სერიოზული დიასახლისი, ხშირად აწყობდა ცეკვის დამეებს მუსიკოსების თანხლებით, სასმელი უხვად იყო, წვეულებებს არასოდეს აკლდა ცეკვისგან დაუღალავი გოგოები. მაგრამ ლუხანერა, რომელიც როსენდოს ქალი იყო, ყველას სჯობდა. მოკვდა უკვე, ბატონო, და წლებია უკვე მასზე არ მიფიქრია, მისი ნახვა ერთ რამედ ღირდა. ნახავდი და უძილობისთვის განწირული იყავი.

კანია, მილონგა, ქალები, როსენდოს პირით ნათქვამი უშვერი სიტყვები, მკერდზე მირტყმული მჯიდი, რომელსაც მეგობრულ ჟესტად აღვიქვამდი: მოკლედ, უსასრულოდ ბედნიერი ვიყავი. პარტნიორი მეტად ამყოლი შემხვდა, თითქოს წინასწარ ხვდებოდა ჩემს ყოველ მოძრაობას. ტანგოს რაც სურდა, ყველაფერს გვიკეთებდა: გვღევნიდა, გვკარგავდა, გვმბრძანებლობდა და ხელახლა გვპოულობდა. ამ ბუნდოვან საერთო მხიარულებაში იყო ყველა, როცა უცებ მომეჩვენა, თითქოს მუსიკის ხმას აუწიეს - იმიტომ რომ ფურგონში მსხდარ იმ ორ დამკვრელს მასთან ერთად ვუახლოვდებოდი. შემდეგ ქარმა, რომელმაც მუსიკის ხმები მოიტანა, სხვა მიმართულებით დაუბერა და მე კვლავ ვიგრძენი ცეკვის რიტმი, ჩემი და ჩემი პარტნიორის სხეული, განვაგრძე საუბარი ცეკვის დროს. კარგა ხნის შემდეგ კარზე ბრახუნი გაისმა და ბოხმა ხმამ კარის გაღება ბრძანა. მაშინვე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, რასაც კარზე ძლიერი დარტყმა მოჰყვა და მამაკაცი შენობაში აღმოჩნდა. ეს კაცი თავისსავე ხმას ჩამოჰგავდა.

მაშინ ჩვენთვის ჯერ კიდევ არ იყო ფრანსისკო რეალი. უბრალოდ მაღალი, მკვრივი, შავებში ჩაცმული ტიპი იყო, რომელსაც მხრებზე ღია ყავისფერი კაშნე შემოეხვია. მახსოვს, სახის კუთხოვანი ნაკვთებით ინდიელს წააგავდა.

კარი გაღებისას მომხვდა. ხელი ეგრევე მივაშველე, უნებურად მარცხენა ხელით სახეში ვწვდი, მარჯვენათი კი ჟილეტში ჩამალულ დანას ვეძებდი. შერკინება ცოტა ხანს გაგრძელდა. კაცმა ხელი აიქნია და წამში ლეკვივით მომისროლა, როგორც რაღაც დაბრკოლება. ეგრევე უკან მომიტოვა, ხელი ჯერ კიდევ ჟილეტში მქონდა, იარაღზე, რომელიც არ მჭირდებოდა. თითქოს არაფერი მომხდარაო, სვლა განაგრძო. ჩანდა და იყო კიდევ ყველაზე მაღალი. თავიდან წმინდა

იტალიური შეხედულების კაცები მარაოსავით გაიშალნენ მის წინ. საქმე არც ახლა გაჭიანურებულა. შემდეგ ინგლისელი დაუხვდა და სანამ უცხოს ხელს იგრძნობდა მხარზე, ინგლისელმა გამზადებული მუშტი დაუხვედრა. ამ დარტყმის ნახვა და ყველას მივარდნა ერთი იყო. შენობა საკმაოდ ვრცელი იყო, ახალმოსული ითრიეს, ერთი კუთხიდან მეორეში აგდებდნენ, ცემდნენ, აფურთხებდნენ და უსტვენდნენ. თავიდან ფეხებს ურტყამდნენ, მერე როცა ნახეს, რომ თავს არც იცავდა, უბრალოდ გაშლილ ხელს ულაწუნებდნენ და სამასხარაოდ კაშნეს ექაჩებოდნენ. თითქოს მას როსენდოსათვის ინახავდნენ, რომელიც ამასობაში ადგილიდან არ იძვროდა და კედელს მიყრდნობილი ჩუმად იდგა. სიგარას ხარბად ეწეოდა, თითქოს უკვე მიმხვდარიყო იმას, რისი მოწმეც მოგვიანებით ჩვენც გავხდით. გაქვავებული და სისხლიანი "მჩეხავი" წინ დაუდგა, უკან დამცინავი ხმები მოისმოდა. დასტვენილმა, ნაცემმა და ფურთხიანმა ხმა მხოლოდ მაშინ ამოიღო, როცა როსენდოს წინაშე აღმოჩნდა. მას შეხედა, სახე ხელით მოიწმინდა და თქვა:

- მე ფრანსისკო რეალი ვარ, ჩრდილოეთიდან. ფრანსისკო რეალი, "მჩეხავს" რომ ეძახიან. ამ უბადრუკებს მივეცი საშუალება, ხელი აეწიათ ჩემზე, რადგან სულ სხვა კაცს ვეძებ. ხმები დადის, რომ ამ მხარეში ვიღაც მამაცი მოჩხუბარი ცხოვრობს, მეტსახელად "ჩხუბისთავი". მინდა ვიპოვო, რათა მე, არარაობას, მაჩვენოს, რაა სიმამაცე და გამბედაობა.

ამას ისე ამბობდა, მისთვის თვალი არ მოუცილებია. მარჯვენა ხელში უბრწყინავდა დანა, რომელსაც სავარაუდოდ აქამდე სახელოში ინახავდა. მათ, ვინც მუჯღუგუნებს ურტყამდნენ, უკან დაიხიეს. მდუმარედ შევყურებდით ამ ორს. თვით ბრმა მულატი, რომელიც ვიოლინოზე უკრავდა, გაქვავებულიყო.

ამ დროს, ვხედავ, უკან ჩოჩქოლია, კარში ექვსი თუ შვიდი კაცი შემოდის, ალბათ "მჩეხავის" ბანდიდან. ყველაზე ხნიერმა, რომელიც გლახს უფრო ჰგავდა და გარუჯული კანი და შეჭადრაკებული უღვაშები ჰქონდა, ნაბიჯი წინ გადმოდგა. თითქოს დაიბნა ამდენი ქალისა და შუქის ხილვით და პატივისცემის ნიშნად ქუდი მოიხადა. სხვები გულდასმით ათვალთვლებდნენ მას და მზად იყვნენ ეგრევე ჩაბმულიყვნენ ხელჩართულ ბრძოლაში, თუკი რამე უსამართლო მოხდებოდა.

რა სჭირდა ამასობაში როსენდოს? რატომ არ ესწმოდა თავს ამ უტიფარ კაცს? როსენდო კვლავ ჩუმად იყო, მისთვის არც შეუხედავს. არ ვიცი, სიგარა დააგდო თუ დაუვარდა. ბოლოს რამდენიმე სიტყვა თქვა, მაგრამ ისე ნელა, რომ მათ, ვინც სალონის ბოლოში ვისხედით, ვერაფერი გავიგეთ. ფრანსისკო რეალი განაგრძობდა მის გამოწვევას, მაგრამ ის უარზე იდგა. მაშინ ახალმოსულთაგან ყველაზე პატარამ დაუსტვინა. ლუხანერამ ავად შეხედა, თმა შეიკრა, გოგოებისა და სტუმრების გუნდი გაარღვია. მიუახლოვდა თავის კაცს, ილლიასთან ხელი ჩაუყო, გამიშვლებული დანა ამოიღო და უთხრა:

- როსენდო, ვფიქრობ, მას თავის ადგილს მიუჩენ.

ჭერის სიმაღლეზე რაღაც მოგრძო ფანჯარა იყო, რომელიც პირდაპირ მდინარეს გადაჰყურებდა. როსენდომ დანას ორივე ხელი ჩასჭიდა და თითქოს პირველად ხედავს, გულდასმით დაათვალიერა. უცებ უკან დაიწია და მთელი ძალით მოისროლა დანა, რომელიც მდინარე მალდონადოში ჩაიკარგა. სიცივემ დამიარა ტანში.

- მხოლოდ ზიზღის გამო არ გაქცევ ნაკუნებად, - უთხრა მეორემ და ხელის დასარტყმელად მოემზადა. მაშინ ლუხანერა მას კისერზე ჩამოეკიდა, ხელები შემოხვია, შეხედა და მრისხანედ უთხრა:

- დატოვე ასე, დაგვაჯერა, რომ კაცი იყო.

ფრანსისკო რეალი წამით გაშეშდა, მერე ქალი გულთან მიიკრა და მუსიკოსებს, ტანგოსა და მილონგას დაკვრა, სხვებს კი ცეკვა უბრძანა. მილონგას რიტმებმა ცეცხლის ალივით გაარღვია ხალხის ბრბო. რეალი მძიმედ ცეკვავდა, ლაზათის გარეშე, იცოდა, რომ ქალს უკვე დაეპატრონა. როცა წყვილი კარს მიუახლოვდა, იყვინა:

- ბატონებო, წრე გააფართოვეთ, მძინარე მომყავს!

თქვა და საფეთქელმიდებულები გარეთ გავიდნენ, ისეთი გადაღლილები, თითქოს ტანგოსგან დამთვრალიყვნენ.

სირცხვილისგან გავწითლდი. ვიღაც გოგოსთან ერთად რამდენიმე წრე დავარტყი და მერე მოულოდნელად მივატოვე. დავასკვენი, რომ მცხელოდა და გასასვლელად კარს მივაშურე. მშვენიერი ღამე იყო, მაგრამ ვისთვის? ქუჩის კუთხეში ფურგონი იდგა, რომელშიც ორი უსაქმური იჯდა, გლეხებივით გიტარით ხელში ისხდნენ. მათი ყურებით დავნადვლიანდი, თავი უვარგისად ვიგრძენი. ყურში გარჭობილი მიხაკი ავიღე და ვისროლე. წამით გავშტერდი, რათა არაფერზე მეფიქრა. მინდოდა მეორე დღე დამდგარიყო და ამ ღამისთვის თავი

დამედწია. ამ ფიქრებში გართულს, ვიდაცამ ისეთი მდრუზა, გამომაფ-
ნიზლა. როსენდო იყო, რომელიც დასახლებიდან მარტო გადიოდა.

- შენ ხომ სულ ფეხებში მებლანდები, გონებაჩლოუნგო, - წაიბურ-
დღუნა ჩავლისას, არ ვიცი, გულის მოსაფხანად თუ ისე, უბრალოდ.

როსენდო მალდონადოს ყველაზე ბნელი მხარისკენ მიდიოდა.
მას შემდეგ აღარ მინახავს.

ვიდექი და ვუყურებდი იმას, რასაც მთელი ცხოვრება ვუმზერდი -
უძირო ცას, მდინარეს, რომელიც ქვევით თავისთვის მიედინებოდა,
მთვლემარე ცხენს, მიწის მყარ ქუჩებს, ღუმელებს და ვფიქრობდი:
"ეტყობა მეც ამ ნაპირების ბალახივით ვარ, "გომბემოს ყვავილებსა"
და ჩონჩხებს შორის ამოზრდილი. რა გამოიძერწებოდა ამ ნაგვისა-
გან, თუ არა ჩვენ, ტრაბახა მშიშრები. მერე უცებ ვიფიქრე: არა, რაც მე-
ტი ნაგავია ირგვლივ, მეტად კარგი უნდა იყო. ნაგავი? დაე, ისევ იყოს
გიჟური მილონგა, სასმელი სახლებში, ქარმა კი ცხრატყავას სურნელი
მოიტანოს". ტყუილად იყო ის ღამე მშვენიერი. იმდენი ვარსკვლავი
იყო ცაზე, ცქერისგან თავბრუ დაგეხვეოდა, ფენა-ფენა ეწყო ერთმა-
ნეთზე. თავს ვიმშვიდებდი, რომ საქმე მე საერთოდ არ მეხებოდა,
მაგრამ როსენდოს სილაჩრესა და უცხო კაცის გაუგონარ სითამამეზე
ფიქრს ვერ ვიშორებდი. იმ ღამით მაღალმა კაცმა საუკეთესო ქალის
მოპოვებაც კი მოახერხა. იმ ღამით, და იქნებ კიდევ მრავალით, რად-
გან ლუხანერა - სერიოზულ საქმეს წარმოადგენდა. ღმერთმა უწყის,
საით წავიდნენ. ალბათ, სადღაც ახლომახლო ესიყვარულებოდნენ
ერთმანეთს.

როცა ძველ ადგილს დავუბრუნდი, ყველა გაცხარებული ცეკვა-
და.

შემჩნევლად შევძვერი ხალხის ბრბოში და დავინახე, რომ ჩვე-
ნები გამქრალიყვნენ და უცხომხარელები სხვებთან ერთად ტანგოს
ცეკვაოდნენ. მუჯლუგუნს და შეხებას ვერ იგრძნობდი, ყველა ფნიზ-
ლად და ღირსეულად იყო. მუსიკა თითქოს თვლემდა, ქალები უხმოდ
ცეკვაოდნენ ჩრდილოელებთან.

რატაცას ველოდი, მაგრამ არა იმას, რაც მოხდა.

გარედან ქალის ტირილის ხმა მოგვესმა, მერე ნაცნობმა ხმამ, მე-
ტად მშვიდმა, ქალს უთხრა:

- შემოდი, შვილო. - ქალი ტირილს აგრძელებდა.

მაშინ განრისხებულმა ხმამ დაიყვირა:

- გააღე-მეთქი გეუბნები, ნათრევო, ძაღლო!

ამ დროს კარიც გაიღო და ლუხანერა მარტო შემოვიდა. ისე შემოვარდა, თითქოს ეს-ესაა ვინმე დაეწეოდა.

- ვიდაცის სული მისდევს, - თქვა ინგლისელმა.

- არა, მეგობარო, მკვლარი მოსდევს, - თქვა "მჩენავმა". სახე ლოთისას მიუგავდა. ისე შემოვიდა სალონში, როგორც მაშინ, პირველად. კარებში რამდენიმე ნაბიჯი არეულად გადადგა და მიწაზე დაეხეთქა. ვიდაც მისიანმა ზურგზე დააწვინა და ბალიში ამოუდო. დამხმარენი სისხლით მოითხვარნენ. მაშინლა შევამჩნიეთ, რომ მკერდში მძიმედ იყო დაჭრილი. სისხლი უხვად მოედინებოდა და შავად ეტყობოდა ქსოვილს, რაც თავიდან ვერ შევამჩნიე, რადგანაც მეუკი კაშნე ფარავდა. პირველადი დახმარების გასაწევად ერთ-ერთმა ქალმა კანია და დამწვარი ჩხრები მოუტანა. კაცს ლაპარაკი არ შეეძლო. ლუხანერა დაბნეული შეჰყურებდა და მხრები ჩამოეშვა. ყველა თვალებით კითხულობდა, რა მოხდა. ბოლოს ქალი ალაპარაკდა. მოჰყვა, რომ როცა "მჩენავთან" ერთად გავიდა სალონიდან, მინდვრისკენ გაემართნენ, მოლოდნულად ვიდაც ბიჭი გამოჩნდა, უიმედოდ მოუწოდებდა შერკინებოდა და დანით დაჭრა. ქალი იფიცებოდა, რომ ეს არ იყო როსენდო, თუმცა ვინ დაიჯერებდა?

კაცი ჩვენს ფეხებთან იწვა და კვდებოდა. გავიფიქრე, რომ ვინც ეს მოაწყო, იმას ნერვიც არ ატოკებია. კაცი ამკარად ამტანი იყო. როცა მიწაზე დაენარცხა, ხულიამ სწორედ მაშინ მოხარშა მატე, რომელიც წრეში ჩამოატარეს. როცა, როგორც იქნა, მატე ჩემამდე მოვიდა, კაცი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. "სახე დამიფარეთ", - თქვა მშვიდად, მეტი ძალა არ ჰქონდა. სიამაყე ჯერ კიდევ შერჩენოდა და ვერ აიტანდა, სიკვდილისწინა აგონიას ცნობისმოყვარენი შესწრებოდნენ. ვიდაცამ მაღალი, შავი ჩამბერგო ჩამოაფარა. ჩამბერგოს ქვეშ უხმოდ მოკვდა. როდესაც გულმკერდმა აწევ-ჩაწევა შეწყვიტა, ქუდის მოხსნა მერედა გაბედეს. დაღლილი გამომეტყველება ჰქონდა, ისეთი, მკვდრებს რომ აქვთ. არადა იმ დროს ყველაზე მამაცი კაცი იყო ბატერიიდან სამხრეთამდე. როგორც კი მივხვდი, რომ მკვლარი და უწყვეტი იყო, სიძულვილის გრძნობა გაქრა.

- სიკვდილს მხოლოდ ცოცხლად ყოფნა სჭირდება, - თქვა ვიდაც ქალმა, მეორემ კი დაამატა:

- როგორი ამპარტავანი იყო, ახლა კი ბუზების თავშესაქცევია.

ჩრდილოელებმა ერთმანეთში ჩუმი ლაპარაკი გამართეს, ცოტა ხანში ორმა კაცმა იყვირა:

- ქალმა მოკლა!

ერთმა პირდაპირ ლუხანერას შეხედა, ყველა მას მიუახლოვდა. დამავიწყდა, რომ ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი და მასთან მივაჭერი. ვიგრძენი, რომ ბევრი მიყურებდა, თუ ყველა არა. მეც დავიყვირე:

- შეხედეთ მის ხელებს! განა მათ იმდენი ძალა აქვთ, კაცი დანიტ მოკლან?

მერე ამაყად ვთქვი:

- ვინ წარმოიდგენდა, რომ გარდაცვლილი, რომელზეც ამბობენ, რომ თავის უბანში ხალხს ხოცავდა, ასე სასტიკად დაასრულებდა სიცოცხლეს ამ მიყრუებულ ადგილას. გგონიათ, იქ, სადაც არაფერი ხდება, ვიღაცამ იმისთვის მოკლა, რომ გავერთეთ, თვითონ კი საერთოდ მიმალულიყო?

ეს მოსაზრება არავის დაუწუნია.

ამ დროს ცხენების ფლოქვების ხმა მოგვესმა. პოლიცია იყო. ყველას ჰქონდა მიზეზი მათთან საქმე არ დაეჭირა. ერთხმად გადაწყდა გვამის მდინარეში გადაგდება. გეხსომებათ ის მოგრძო ფანჯარა, რომელშიც დანამ გაიბრწყინა. გვამი უამრავმა ხელმა ასწია. ამავე ხელებმა ამოუსუფთავა წვრილი ფული და რამდენიმე სენტავო, ვიღაცამ თითივც მოაჭრა, ბეჭედი რომ მიესაკუთრებინა. ასე დაჯილდოვდნენ, ბატონო ჩემო, მისი გამპატიოსნებლები, როცა მოგვიანებით სხვამაც შეავლო ხელი. ერთი გასროლა და მღვრიე და ნატანჯმა წყალმა გვამი წაიღო. არ ვიცი, გამოაცალეს თუ არა შიგნეულობა, მალე რომ ჩაძირულიყო, მერჩივნა, არ შემეხედა. ნაცრისფერწვერიანი კაცი თვალს არ მამორებდა. ლუხანერამ ჩოჩქოლში დრო იხელთა და გაქრა.

როცა კანონდამცველები მოვიდნენ, ყველა ცეკვავდა. ბრმა მევიოლინე ისეთ აბანერას უკრავდა, ახლა რომ ვერ მოისმენთ. გარეთ თენდებოდა. ნანდუბაის ბოძები ბორცვებზე ეულად იდგნენ, რადგანაც მათ შორის გაბმული წვრილი სადენები განთიადის ფონზე საერთოდ არ ჩანდა.

მშვიდად გავეშურე ჩემი რანჩოსაკენ, რომელიც რამდენიმე უბნის გაღმა მდებარეობდა. ვხედავ, ჩემს ფანჯარაში მკრთალი შუქია, რომელიც ეგრევე ჩაქრა. როგორც კი მივხვდი, ვინ იყო, ეგრევე ავიქარდი. და მაშინ, ბორხესო, ხელახლა გამოვაძვრინე მოკლე და ბასრი დანა,

რომელსაც აქ, მარცხენა ხელთან, ჟილეტში ვინახავდი და გულდას-
მით შევათვალე. დანა ახალივით იყო, სრულიად უმანკო, სის-
ხლის ნაკვალევი არც კი ეტყობოდა".

"ET CETERA"

ნესტორ იბარას

თეოლოგი საიქიოში

ანგელოზებმა მიამბეს, რომ მაშინ, როცა მელანჩტონი გარდაიცვალა, იმ სამყაროში მას ისეთივე ილუზორული სახლი მიუჩინეს, როგორც აქ, დედამიწაზე ჰქონდა (თითქმის ყველა მარადისობაში გარდასულს იგივე ემართება და სწორედ ამიტომ ვერ ხვდებიან, რომ მოკვდნენ). ყველა საშინაო ნივთი ნამდვილის ასლი იყო: მაგიდა, საწერი მაგიდა უჯრებიტურთ, ბიბლიოთეკა. როგორც კი მელანჩტონმა ახალ საცხოვრებელში გაიღვიძა, მაშინვე შეუდგა ლიტერატურულ საქმიანობას. თითქოს სულაც არ იყო გვამი, რამდენიმე დღე წერდა რწმენის რაობაზე. როგორც ჩვევად ჰქონდა, სიტყვაც არ უთქვამს სათნოებაზე. ანგელოზებმა ეს ხარვეზი შეამჩნიეს და დასაკითხად ადამიანები მიუგზავნეს. მელანჩტონმა მათ უთხრა: "დავამტკიცე და ეჭვგარეშეა, რომ სულს შეუძლია იოლად გავიდეს ფონს სათნოების გარეშე. ზეცაში მოსახვედრად რწმენა საკმარისია". ამ სიტყვებს ამაყად ამბობდა და არც იცოდა, რომ უკვე მკვდარი იყო და ზეცაში ვერ მომხვდარიყო. როდესაც ანგელოზებმა მისი სიტყვა მოისმინეს, მიატოვეს. რამდენიმე კვირაში ავეჯმა გაქრობა დაიწყო. ყველაფერი გაქრა სავარძლის, მაგიდის, ქაღალდის ფურცლებისა და სამელნის გარდა. ოთახის კედლები კირით დაიფარა, ჭერი ყვითელი ლაქით. ტანსაცმელი ისეთივე დარჩა. მელანჩტონი განაგრძობდა წერას და დაჟინებით უარყოფდა სათნოებას, რის გამოც საცხოვრებლად მიწისქვეშ გადაიყვანეს, სადაც სხვა თეოლოგები ჰყავდათ. რამდენიმე დღე საკანში გამომწყვდეულმა გაატარა და როგორც კი თავის თეორიაში ეჭვის შეტანა დაიწყო, ნება მისცეს, დაბრუნებულიყო. ამჯერად დაუმუშავებელი ტყავის ტანსაცმელი ეცვა, მაგრამ თავი დაირწმუნა, თითქოს წინანდელი ჩაცმულობა წმინდა წყლის ჰალუცინაცია იყო და კვლავ დაიწყო რწმენის ქება და სათნოების დაკნინება. ერთ საღამოს სიცივე იგრძნო. მაშინ სახლი შემოიარა და აღმოაჩინა, რომ ოთახების კედლები სულაც არ ჰგავდა იმას, რაც სახლში, დედამიწაზე ჰქონდა. ერთი

ოთახი სავსე იყო უცნობი ინსტრუმენტებით, მეორე ისე დაჰატარა ვებულიყო, შეუძლებელი იყო შესვლა, მესამე არ შეცვლილიყო, მაგრამ ფანჯრები და კარი ვიდაცას სილით ამოვესო. ოთახის სიღრმეში ჩანდნენ ადამიანები, რომლებიც ხოტბას ასხამდნენ და განუწყვეტილი იმეორებდნენ, რომ არც ერთი თეოლოგი არ იყო მასსავით მცოდნე. ქება-დიდება ესამოვნა, მაგრამ რადგან ამ ადამიანებიდან ზოგს სახე არ ჰქონდა და ზოგიც მკვდარს ჰგავდა, ისინი შეიძულა და ეჭვის თვალით დაუწყო ყურება. სწორედ მაშინ გადაწყვიტა დაეწერა ქება სათნოებისა, მაგრამ დღისით დაწერილი გვერდები მომდევნო დღით იშლებოდა, რადგან ამ სტრიქონებს რწმენის გარეშე წერდა.

უამრავი ახლადგარდაცვლილი ადამიანი სტუმრობდა, მას კი რცხვენოდა, რომ უბადრუკ სახლში ცხოვრობდა. სტუმრების საჩვენებლად, რომ თითქოს ზეცაში იყვნენ მოხვედრილები, ოთახის სიღრმეში ნაპოვნ გრძნეულს მოურიგდა, ეს უკანასკნელიც შესაშური სიმშვიდით ატყუებდა ხალხს. როგორც კი სტუმრები წასასვლელად გაემზადებოდნენ, ან წასვლამდე ცოტა ხნით ადრე, ოთახში მაშინვე ჩნდებოდა კირი და სიღარიბე.

უკანასკნელი ცნობები მელანჩტონის შესახებ გვამცნობს, რომ ის ვინმე მისანმა და რამდენიმე უსახო კაცმა ქვიძისკენ წაიყვანა და ახლა დემონებს ემსახურება.

წყარო: Arcana Coelestia (1749-1756), Emanuel Swedenborg.

ქანდაკებების პალატა

ძალიან ადრე, ანდალუსიის სამეფოში არსებობდა სატანტო ქალაქი, რომლსაც ერქვა ლებტიტი ან სეუტა, იგივე ხანის. ქალაქში იდგა აუღებელი ციხესიმაგრე, რომელიც მუდამ დაკეტილი იყო. ყოველთვის, როცა მეფე კვდებოდა და მემკვიდრეს ტახტს უტოვებდა, ახალი მეფე კარზე ახალ კლიტეს ამატებდა. კარზე ოცდაოთხი საკეტი რომ გაჩნდა, ამდენივე მეფის შესაბამისად, ქალაქში გამოჩნდა უცხოტომელი კაცი, რომელიც სამეფო სისხლის არ იყო, მაგრამ ყველაფერს დაეპატრონა. როგორც კი ძალაუფლება იგდო ხელთ, ახალი საკეტის დამატების ნაცვლად, ისურვა იმ ოცდაოთხი საკეტის გახსნა და ციხესიმაგრის ნახვა. ბევრს ემუდარნენ ვეზირები და ამირები გადამთი-

ელს, არ გაეღო კარები. რკინის გასაღებებიც კი გადამაღეს, არწმუნებდნენ უცხოს, რომ ახალი საკეტის დამატება უფრო იოლი იქნებოდა, ვიდრე იმ ოცდაოთხის გახსნა. მაგრამ მეფე ცბიერად იმეორებდა: "მსურს, ციხე-სიმაგრე შიგნიდან ვნახო". მაშინ იმდენი ქონება შეაძლიეს, რისი მოგროვებაც კი შეიძლებოდა, ცხვრის ფარები, ქრისტიანული კერპები, ოქრო-ვერცხლი, მაგრამ მას განზრახვის ასრულება ყველაზე მეტად ეწადა და საკუთარი მარჯვენა ხელით გააღო აკრძალული კარები (ხელი, რომელიც სამუდამო გენას მიეცა). ოთახში ქარივით სწრაფ აქლემებსა და ცხენებზე ამხედრებული არაბების ლითონისა და ხის ქანდაკებები იდგა. ქანდაკებებს თავზე ჩაღმა ეხურათ და მარჯვნიდან მარცხნივ მიმართულ სარტყელზე მახვილები და დაშნები ეკიდათ. ყველა ეს სილუეტი ოთახში ჩრდილს ქმნიდა. ბრმაც კი შეძლებდა ერთი შეხებით მათ შეცნობას, ცხენების წინა ფლოქვები იატაკს არ ეხებოდნენ, თითქოს ყალყზე იყვნენ შემდგარი. დახვეწილმა ფიგურებმა მეფე ძალიან შეაშინა, მეტადრე მათმა სიმწყობრემ და მღუმარებამ. ყველა ერთი მიმართულებით, დასავლეთით იყურებოდა. ხმა არ ისმოდა, საყვირისაც კი. ასეთი იყო ციხე-სიმაგრის პირველი პალატა. მეორეში სოლომონ მეფის, დავითის შვილის (კურთხეულ იყოს მათი სახელი!) მაგიდა იდგა, მასიური ზურმუხტისგან გამოთლილი, რომლის ფერიც იცით, მწვანეა და რომლის დაფარული თვისებები ენით აღუწერელი და ჭეშმარიტია, რადგანაც აცხრობს ქარბუქებს, განსაზღვრავს მფლობელის უმანკობას, ებრძვის დიზენტერიას და ავ სულებს, დადებითად წყვეტს ყოველგვარ დავას და მშობიარობისას უებარი საშუალებაა.

მესამე პალატაში ორი წიგნი აღმოჩნდა: ერთი შავი იყო და მეტალების, თილისმების, საწამლაკებისა და შხამსაწინააღმდეგო ხსნარების მომზადებას ასწავლიდა, მეორე თეთრი იყო, მაგრამ მიუხედავად ნატიფად გამოყვანილი ასოებისა, ვერავინ ამოიკითხა. მეოთხე პალატაში ინახებოდა მსოფლიო რუკა, რომელზეც დატანილი იყო ყველა სამეფო, ქალაქები, ზღვები, ციხე-კოშკები და ხიფათები, რომელსაც შესაშური სიზუსტით ეწერა მათი ჭეშმარიტი სახელები.

მეხუთე პალატაში სოლომონის, დავითის შვილის (კურთხეულ იყოს მათი სახელი!) ნახელავი მრგვალი სარკე იდგა. სარკე მეტად ძვირფასი სხვადასხვა ლითონისგან იყო დამზადებული. ვინც მასში ჩაიხედავდა, ნახავდა თავის მშობლებსა და შთამომავლებს, დაწყებული ადამიდან, საყვირის ბოლო გამგონემდე. მეექვსე პალატა სავსე

იყო ელექსირით, რომლის ერთ ადარმეს შეეძლო სამი ათასი უნცია ვერცხლი სამი ათას უნცია ოქროდ ექცია. მეშვიდე პალატა ცარიელი იყო და ისეთი გრძელი, საუკეთესო მებისრეც ვერ მიაწვდენდა ოთახის სიღრმემდე ისარს. კედელზე საშინელი სიტყვები ამოეტვიფრათ. მეფე კარგად დააკვირდა და ამოიკითხა: "თუკი ადამიანის ხელი გაადებს ამ ციხესიმაგრის კარებს, მაშინ ხორციელი მეომრები, რომლებიც ფოლადის მეომრებს ჰგვანან, დაეპატრონებიან ამ სამეფოს".

ეს ამბავი ჰიჯრით 89 წელს მოხდა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ტარიკმა დაიპყრო ის სიმაგრე, დაამარცხა ის მეფე, გაყიდა ქალები და ბავშვები, ააოხრა იქაური მიწები. ასე მოედნენ არაბები ანდალუსიის სამეფოს ლედვის ბაღებსა და მორწყულ ველებს, რომელმაც წყურვილი არ იცის. რაც შეეხება განძს, ვიცით, რომ ტარიკმა, საიდის შვილმა, იგი თავის ხალიფას გადასცა, მან კი განძი პირამიდაში შეინახა.

წყარო: "ათას ერთი ღამე", ღამე 272-ე.

ამბავი ორი კაცისა, რომელთაც ესიზმრათ

არაბი ისტორიკოსი, ალ იქსაკი, მოგვითხრობს ამ ამბავს:

"ღირსეული ხალხისგან მსმენია, (თუმცა მხოლოდ ალაჰია ყოვლისმომცველი, ყოვლისშემძლე, გულმოწყალე და ფხიზელი) რომ ცხოვრობდა კაიროში კაცი, ყოველგვარ სიმდიდრეთა მფლობელი, მაგრამ ისეთი დიდსულოვანი და შემწყნარებელი, რომ ყველაფერი დაუკარგავს მამის სახლის გარდა და იძულებული გამხდარა, ეშრომა ლუკმა-პურის სამოვნელად. ერთხელ, ლედვის ბაღში ჯაფისაგან დაღლილი ძილმა დაჯაბნა და ესიზმრა კაცი, რომელმაც პირიდან ოქროს ფული გამოიღო და უთხრა: "შენი ქონება სპარსეთშია, ისპაჰანში, წადი მის საძებრად". ალიონზე კაცმა გაიღვიძა და გრძელ გზას გაუდგა. დაუპირისპირდა ხიფათს - მოვლენილს უდაბნოთა, ხომალდთა, მეკობრეთა, კერპთაყვანისმცემელთა, მდინარეთა, მხეცთა და კაცთაგან. ბოლოს ისპაჰანამდე მიაღწია, მაგრამ ღამით დაღლილს, მეჩეთის ეზოში მიეძინა. მეჩეთთან ახლოს სახლი იდგა. ყოვლისშემძლე უფლის ნებით, ქურდების ჯგუფი მეჩეთის გავლით ამ სახლში შევარდა. იქ მყოფებს ხმაურზე გაედვიძათ და შველა ითხოვეს. მეზობლები

მანამ ყვიროდნენ, სანამ უბნის გუშაგთა კაპიტანი თავის კაცებთან ერთად არ გამოჩნდა, ყაჩაღები კი სახლის სახურავიდან გაიპარნენ. უფროსმა ბრძანა გაეჩხრიკათ მეჩეთი, სადაც წააწყდნენ კაცს კაიროდან და ბამბუკის ჯოხებით ისე გაროზგეს, რომ სიკვდილის პირამდე მიიყვანეს. ორი დღის შემდეგ კაცი გონს ციხეში მოეგო. კაპიტანმა მოიხმო და ჰკითხა: "ვინა ხარ და საიდან მოსულხარ?" მან უპასუხა: "ცნობილი ქალაქიდან, კაიროდან ვარ და მუჰამედ ალ მაღრიბია ჩემი სახელი". კაპიტანმა ჰკითხა: "სპარსეთში რამ მოგიყვანა?" კაცმა სიმართლის თქმა ამჯობინა და უთხრა: "სიზმრად კაცი ვნახე, რომელმაც მიბრძანა ისპაჰანს მოვსულიყავი, რადგან აქ სიმდიდრე მელოდა. უკვე ისპაჰანში ვარ და ვხედავ, რომ ეს სიმდიდრე ის როზგებია, რომელიც ასე დიდსულოვნად მივიღე შენგან".

ამ სიტყვების გაგონებაზე კაპიტანმა გულიანად გადაიხარხარა და უპასუხა: "ქარაფშუტა და მიამიტო კაცო, სამჯურ მესიზმრა კაიროში სახლი და მის სიღრმეში ბაღი, ბაღში მზის საათი და მზის საათს მიღმა ლედვის ხეები, ლედვებს იქეთ წყარო, წყაროს ქვეშ კი განძი. ამ ტყუილისთვის მნიშვნელობა არ მიმინიჭებია. შენ კი, რა თქმა უნდა, წყეულ ჯორზე ამხედრებულმა ქალაქიდან ქალაქში იხეტიალე მხოლოდ შენი სიზმრის რწმენის ამარა. ისპაჰანში აღარ დაგინახო, აიღე ეს მონეტები და წადი".

კაცმა აიღო მონეტები და სამშობლოში დაბრუნდა. თავისი ბაღის წყაროს ქვეშ (ეს ის ბაღია, კაპიტანმა სიზმრად რომ ნახა) განძი იპოვა. ასე დალოცა უფალმა, დააჯილდოვა და აამაღლა.

დიდსულოვანი და იღუმალია უფალი.

წყარო: "ათას ერთი ღამე", ღამე 351-ე.

შეყოვნებული გრძნეული

ცხოვრობდა სანტიაგოში ეკლესიის წინამძღოლი, რომელსაც მაგიის ხელოვნების შესწავლა სწყუროდა. ყური მოჰკრა, რომ ყველაზე კარგად ამ ხელობას ტოლედოელი ვინმე დონ ილანი ფლობდა და მის სანახავად ტოლედოს გაემართა.

როცა ეკლესიის წინამძღოლი დონ ილანს ესტუმრა, ნახა, რომ ეს უკანასკნელი განცალკევებით მდგარ ოთახში განმარტოებულიყო. დონ ილანმა სტუმარი გულითადად მიიღო და სთხოვა მობრძანების

მიზეზი სადილობის შემდეგ გაემხილა. მანამდე სტუმარი გრილ ადგილას მოასვენა და უთხრა, რომ მეტად გახარებული იყო მისი ვიზიტით. სადილის მერე ეკლესიის წინამძღოლმა სტუმრობის მიზეზი გაამხილა და მასპინძელს სთხოვა, მაგიის მეცნიერება ესწავლებინა მისთვის. დონ ილანმა უკვე იცოდა რომ იგი ეკლესიის წინამძღოლი იყო, კარგი სახელისა და მომავლის მქონე, თუმცა ისიც გაუმხილა, ვშიშობ, ჩემს სიკეთეს მალე მიივიწყებო. მღვდელმა დაარწმუნა, რომ წყალობას არასოდეს დაივიწყებდა და ყოველთვის მის ნებას დაჰყვებოდა. როცა დონ ილანმა დაპირება მოისმინა, წინამძღოლს უთხრა, რომ მაგიის ხელოვნების შესწავლას განმარტოება სჭირდებოდა, ხელი ჩაჰკიდა და შეიყვანა ძველ ოთახში, რომელშიც რკინის უშველებელი მრგვალი რკალი ეკიდა. დონ ილანმა მოახლეს სთხოვა სადილად გნოლი გაემზადებინა, მაგრამ მანამ არ შეეწვა, სანამ არ უბრძანებდა. რკინის რკალი ერთად ასწიეს და ქვის თლილ კიბეს დაუყვნენ. იმდენი იარეს, სანამ მღვდელს არ მოეჩვენა, რომ მდინარე ტახო მათ თავზე გადიოდა. კიბეს ისინი გაჰყავდა კელიაში, კელიიდან ბიბლიოთეკაში და ბიბლიოთეკიდან კაბინეტში, რომელიც სავსე იყო სხვადასხვა ჯადოსნური ინსტრუმენტებით. წიგნების ფურცვლაში იყვნენ გართულები, როცა ოთახში ორი კაცი შემოვიდა. მათ წინამძღოლისთვის მოჰქონდათ წერილი, რომელიც ბიძამისის, ეპისკოპოსისაგან იყო. ეპისკოპოსი წერდა, რომ სიკვდილის პირას იდგა და თუ ძმისშვილს მისი ნახვა სიცოცხლეშივე სურდა, უნდა ეჩქარა. წინამძღოლი დანაღვლიანდა ბიძამისის სამწუხარო მდგომარეობით და იმითაც, რომ სწავლის შეწყვეტა მოუწევდა. გადაწყვიტა, ბიძისთვის მოებოდიშებინა და წერილი გაუგზავნა. სამ დღეში რამდენიმე მგლოვიარე ადამიანმა კიდევ ერთი წერილი მოიტანა. ამჯერად, წერილში იუწყებოდნენ, რომ ეპისკოპოსი გარდაცვლილიყო, ირჩევდნენ მომავალ ეპისკოპოსს და იმედოვნებდნენ, რომ უფლის ნებით, მომავალ ეპისკოპოსად მას აირჩევდნენ. უთხრეს, მოსვლით თავი არ შეეწუხებინა, ეპისკოპოსად არჩევა დაუსწრებლადაც შეიძლებოდა.

ათ დღეში კარგად ჩაცმული ორი მეაბჯრე ესტუმრათ. ახალი ეპისკოპოსის წინაშე მუხლი მოიყარეს, ხელზე ეამბორნენ და მიესალმნენ. როცა დონ ილანმა სასიკეთო ამბები შეიტყო, გახარებულმა ახლადგამომცხვარ ეპისკოპოსს მიულოცა და უთხრა, რომ უფლის მადლიერი იყო, რადგან კარგი ამბები მის სახლში ხდებოდა. მერე კი

ერთ-ერთი შვილის მღვდლად კურთხევა სთხოვა. ეპისკოპოსმა უთხრა, რომ თავისუფალი ადგილი საკუთარი ძმისთვის ჰქონდა შენახული, მაგრამ შეჰპირდა, რომ რამეს გაახერხებდა და სანტიაგოში ერთად წასვლა შესთავაზა.

სანტიაგოში სამნი გაემგზავრნენ, სადაც ზარ-ზეიმითა და დიდი პატივისცემით დახვდნენ. ექვს თვეში ეპისკოპოსმა პაპის წარმომადგენლები მიიღო, აღმოჩნდა, რომ პაპი მას ტულუზის არქიეპისკოპოსობას სთავაზობდა და უფლებას აძლევდა მემკვიდრე დაესახელებინა. როცა დონ ილანმა ეს ამბავი შეიტყო, მას ძველი დანაპირები შეახსნა და სთხოვა, ამ თანამდებობაზე მისი შვილი დაესახელებინა. არქიეპისკოპოსმა უარი უთხრა და დასძინა, რომ ეპისკოპოსობა ბიძამისის, მამის ძმისთვის სურდა, თუმცა, ილანს ტულუზაში მასთან ერთად წასვლა შესთავაზა. დონ ილანსაც რაღა დარჩენოდა, დათანხმდა.

ტულუზაში სამნი გაემგზავრნენ, სადაც მათ პატივითა და საგანგებო წირვით დახვდნენ. ორ წელიწადში არქიეპისკოპოსმა პაპის წარმომადგენლები ისევ მიიღო. ამჯერად პაპს მისი კარდინალად დასახელება სურდა და უფლებას აძლევდა მემკვიდრე დაესახელებინა. როცა დონ ილანმა ეს ამბავი შეიტყო, ახალ კარდინალს ძველი დანაპირები შეახსნა და სთხოვა მისი შვილი დაესახელებინა არქიეპისკოპოსად. კარდინალმა უარი უთხრა და დასძინა, რომ არქიეპისკოპოსობა ბიძამისის, დედის ძმისთვის სურდა, თუმცა, ილანს რომში წასვლა შესთავაზა. დონ ილანსაც რაღა დარჩენოდა, დათანხმდა. რომში სამნი გაემგზავრნენ, სადაც მათ პატივით, საგანგებო წირვითა და პროცესიებით დახვდნენ. ოთხ წელიწადში პაპი მოკვდა და ჩვენი კარდინალი ერთხმად აირჩა რომის პაპად. როცა დონ ილანმა ეს შეიტყო, მის უწმინდესობას ფეხები დაუკოცნა, შეახსენა მიცემული პირობა და სთხოვა, მისი შვილი კარდინალად დაესახელებინა. პაპი განრისხდა, ციხეში გამომწყვდევით დაემუქრა და მაგიაში დახელოვნებული ტოლედოელი მიხიბავი უწოდა. მაშინ საბრალო დონ ილანმა უთხრა, რომ ესპანეთში დაბრუნებას აპირებდა და პაპს სთხოვა, საგზალი მანც მიეცა მისთვის. პაპმა ცივი უარი სტკიცა. მაშინ დონ ილანმა (რომელსაც სახე უცნაური გამომეტყველებით შეცვლოდა) ხმადაბლა უთხრა:

- მაშინ იმ გნოლების ჭამა მომიწევს, ამ დამისთვის რომ შევუკვეთე.

თვალის დახამხამებაში დონ ილანთან მსახური გაჩნდა, ბატონმა გნოლების შეწვა უბრძანა. ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე, პაპი ისევ ტოლედოს მიწისქვეშეთში აღმოჩნდა, ისევ ეკლესიის წინამძღოლი იყო და ისეთი დარცხვენილი საკუთარი უმადურობის გამო, ბოდის მოხდაც ვერ გაებდა. მაშინ დონ ილანმა უთხრა, რომ ეს გამოცდა საკმარისი იყო, გნოლებით არ გაუმასპინძლდა, ქუჩამდე მიაცილა, მშვიდობიანი მგზავრობა უსურვა და თავაზიანად დაემშვიდობა.

წყარო: Libro de Patronio del Infante, Don Juan Manuel.

მელნის სარკე

ისტორიისთვის ცნობილია, რომ მმართველთა შორის უსასტიკესი ყოფილა სულანის მეფე იაკუბ მჭმუნვარე, რომელმაც თავისი ქვეყანა ეგვიპტელებს მოხარკედ გაუხადა, თავად კი სასახლის ერთ-ერთ პალატაში სავსემთვარეობის თოთხმეტ რიცხვში, 1842 წელს გარდაიცვალა. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ მეფეს სიცოცხლე გრძნეულ აბდ--არ-რაჰმან ალ-მასმუდის (რომლის სახელიც თარგმანში "გულმოწყალე მსახურს" ნიშნავს) დაშნამ თუ საწამლაჟმა მოუსწრაფა, მაგრამ უფრო სარწმუნოა, რომ ბუნებრივად მოკვდა. ამაოდ არ უწოდებდნენ "მჭმუნვარეს". 1853 წელს კაპიტანი რიჩარდ ფრენსის ბერტონი გრძნეულს ესაუბრა და ზუსტად ჩაიწერა მისი ნაამბობი, რომელსაც აქვე ვურთავ:

"სიმართლეთა, რომ იაკუბ მჭმუნვარეს ციხესიმაგრეში ტყვედ ვიყავი, რადგან საკუთარის ძმის შეთქმულების მსხვერპლი გავხდი, რომელიც ენდო ქურდუფანის ცრუ და ამპარტავან ზანგ მეთაურებს, რომელთაც თავად იგი დაასმინეს. ჩემმა ძმამ მართლმსაჯულების სისხლიან სამსჯავროზე მახვილით აგო პასუხი, მე კი მეფის უნიათო ფეხებთან დავიჩოქე და ვუთხარი, რომ გრძნეული ვიყავი და თუ სიცოცხლეს შემინარჩუნებდა, ისეთ საოცარ ფორმებსა და ფიგურებს ვაჩვენებდი, რომლის ნახვას ჯადოსნური ფანრიტაც ვერ შეძლებდა. სასტიკმა მეფემ მაშინვე მომთხოვა მტკიცებულება. მაშინ მოვითხოვე ლერწმის კალამი, მაკრატელი, უზარმაზარი ვენციური ქაღალდი, სამელნე, ლანგარი, კორიანდრის თესლები და ერთი უნცია ლიკვიდამბარი. ქაღალდი ექვს ნაწილად გაჭერი, პირველ ხუთზე თილისმები და შულოცვები წავაწერე, მეექვსეზე კი დიადი სიტყვები ყურანიდან:

"ჩვენ ჩამოგხსენით საბურველი და თვალნი შენნი ჭკრეტენ ყველაფერს". მერე იაკუბს მარჯვენა ხელზე მაგიური ნიშანი დავახატე, მუჟა შევაკვრევი და მელანი ჩავუსხი. ვკითხე, ნათლად თუ ხედავდა საკუთარ ანარეკლს მელნის ზედაპირზე, რაზეც თანხმობით მიპასუხა. ვთხოვე თვალი არ მოეშორებინა მისთვის. მოვუკიდე ლიკვიდამბარს და კორიანდრს, ლანგარზე შელოცვები დაწვი. ვუთხარი, ეთქვა, რისი ნახვა სურდა. დაფიქრდა და მთხოვა მეჩვენებინა ყველაზე მშვენიერი ველური ულაცი, რომელიც უდაბნოსთან მოსაზღვრე მდელოებზე ძოვდა. ჩაიხედა ანარეკლში და ნახა მწვანე, მშვიდი მდელო, ცხენი, რომელიც უახლოვდებოდა საძოვარს და ლეოპარდით მოქნილი იყო. შუბლზე თეთრი ვარსკვლავი ეხატა. მერე მთხოვა მეჩვენებინა ულაცივით მშვენიერ ცხენთა რემა და ნახა ჰორიზონტზე შეფენილი მტვრის ბუდი, რომლის ბოლოშიც რემა მოჩანდა. მივხვდი, რომ საფრთხე აღარ მემუქრებოდა.

მას შემდეგ, ყოველ დღით, ორი კარისკაცი მაკითხავდა ალიონზე და მივყავდი მეფის პალატაში, სადაც მელოდა საკმეველი, ლანგარი და მელანი. მეფე ითხოვდა და მეც ვუჩვენებდი მთელ სამყაროს. აწ გარდაცვლილს, რომელიც დღემდე მეზიზღება, ხელისგულზე ყველაფერი ჰქონდა, რაც უნახავთ მკვდრებს და რასაც ხედავენ ცოცხლები: ქალაქები, კლიმატებად და სამეფოებად დაყოფილი მიწები, სიდრემში დამალული საგანძურები, ზღვაში მონავარდე ხომალდები, საბრძოლო იარაღები, მუსიკალური და ქირურგიული ინსტრუმენტები, მშვენიერი ქალები, ვარსკვლავები და პლანეტები, ფერები, რომელსაც მოდალატეები საზიზღარი სურათების ხატვისას იყენებენ, მინერალები და მცენარეები თავისივე საიდუმლოებებით, ვერცხლისფერი ანგელოზები, რომლებიც უფლის განდიდებით იკვებებიან, ჯილდოები სკოლებში, პირამიდის გულში მიმალული ჩიტებისა და მეფეების ქანდაკებები, ჩრდილი, რომელსაც ქმნის დედამიწის დამჭერი ხარი და თევზი ამ ხარის ქვემოთ, ყოვლისშემძლე უფლის უდაბნოები. ნახა ენით აღუწერელი საგნები, გაზქურით განათებული ქუჩები, ვეშაპი, რომელიც ადამიანის ხმის გაგონებაზე კვდება. ერთხელ, მეფემ მიბრძანა მეჩვენებინა ქალაქი, რომელსაც ევროპა ჰქვია. ვაჩვენე ქალაქის მთავარი ქუჩა და მგონი მაშინ, შავებში ჩაცმული ხალხით სავსე ქუჩებში, პირველად ნახა ნიღბიანი კაცი.

ეს ფიგურა, სუდანელის ან ზოგჯერ სამხედროს ფორმაში გამოწყობილი, მაგრამ შენიღბული, მას შემდეგ შემოიჭრა ჩვენს ხილვებში.

მუდამ ჩანდა, თუმცა ვერ ვხვდებოდით, ვინ იყო. რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში, სურათები მელნის სარკეში, რომელიც თავიდან სპონტანური და წამიერი იყო, კომპლექსური გახდა. ჩემი ბრძანებები იოლად სრულდებოდა, რასაც ტირანი ნათლად ხედავდა. ხშირად ფიზიკურად ვიფიტებოდით. სასტიკი სცენები ძალიან გვდლიდა. განა მხოლოდ სიკვდილით დასჯას, სახრჩობელებს, ხრწნასა და ჯალათის მიერ სხეულის დანაწევრებას ვუყურებდით.

ასე დაგვათენდა სავსემთვარეობის თოთხმეტი რიცხვი. მელნის წრე ხელისგულზე მონიშნული იყო, ლიკვიდამბარი ლანგარზე მოფანტული, საკმეველი დამწვარი. მხოლოდ ორნი ვიყავით. მჭმუნვარემ მიბრძანა გარდაუვალი და სამართლიანი სასჯელი მეჩვენებინა, რადგან იმ დღეს გულს სიკვდილის ნახვა სწყუროდა. ვაჩვენე დოლიანი ჯარისკაცები, გადაჭიმული ხარის ტყავი, ხალხი, რომელიც ჯალათის მართლმსაჯულების მახვილს შეჰყურებდა. მეფე ადფრთოვანდა და მითხრა: "ეს აბუ კირია, შენი ძმა იბრაჰიმი რომ გამოასალმა სიცოცხლეს, კაცი, რომელიც შენც მოგიღებს ბოლოს, როცა ვისწავლი, როგორ დავინახო ფიგურები შენი დახმარების გარეშე". მეფემ განსასჯელის მოყვანა ბრძანა. როცა ეს უკანასკნელი მოუყვანეს, გაფითრდა, რადგანაც სწორედ ის კაცი იყო, თეთრ სუდარაში გახვეული. მიბრძანა, სანამ მოკლავდნენ, ნიღაბი ჩამოეხსნათ მისთვის. მეფის ფეხებთან დავიჩოქე და ვუთხარი: "ყველა დროისა და სივრცის მმართველო, ეს ფიგურა სხვებს არ ჰგავს, არც სახელი ვიცით მისი, არც მშობლები და არც სამშობლო, ვერ გავხედავ ჩამოვხსნა ნიღაბი, რათა არ დავისაჯო იმისთვის, რისი გაკეთებაც არ მსურდა". მჭმუნვარეს გაეცინა და დაიფიცა, რომ ბრალს საკუთარ თავზე იღებდა თუ საჭირო გახდებოდა, ყურანზე და ხმალზე დაიფიცა. მაშინ ვუბრძანე გაემიშვლებინათ სიკვდილმისჯილი, გაეხვიათ ხარის ტყავში და ნიღაბი ჩამოეგლიჯათ. ასეც მოხდა. იაკუბის დამფრთხალმა თვალებმა, როგორც იქნა, იხილა სახე, რომელიც თავისივე იყო. შიშმა და სიგიჟემ შეიპყრო. მოცახცახე მარჯვენაზე ჩემი მყარი ხელი ჩაჰჭიდე და ვუბრძანე, ბოლომდე ეყურებიან საკუთარი სიკვდილისათვის. მთლიანად შეპყრობილი ჰყავდა სარკეს, არც უცდია თვალის მოშორება ან მელნის გადაღვრა. როდესაც დამნაშავის თავზე მახვილმა იელვა, მეფემ ისეთი ხმით დაიყვირა, თანაგრძნობა რომ არ გამოუწვევია და მიწაზე უსულოდ დაეცა.

"იდიდოს ის, ვინც არ კვდება და ხელთ უპყრია ორთავ გასაღები
შეუზღუდავი მიტევებისა და დაუსრულებელი სასჯელისა".

წყარო: *The Lake Region of the Equatorial Fritz, G. F. Burton.*

მუჰამედის ორეული

რადგან მუსლიმთა აზროვნებაში მუჰამედისა და რელიგიის თემა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, უფალმა ბრძანა, ზეცაში ყოველ-თვის ყოფილიყო სულიწმინდა, რომელიც სხვებს უხელმძღვანელებდა და მუჰამედის როლს ითამაშებდა. ეს დელეგატი ყოველთვის სხვადასხვა იყო. ერთხელ ეს პოსტი დაიკავა საქსონელმა, რომელიც სიცოცხლეში ალჟირელებს შეეპყრათ და ისლამზე მოექციათ. რადგან მანამდე ქრისტიანი იყო, იესოზე დაიწყო ლაპარაკი და ამბობდა, რომ ვინმე ხოსეს შვილი კი არა, ძე ღვთისა იყო. მისი შეცვლა აუცილებელი გახდა. მუჰამედის წარმომადგენლის გარჩევა ჩირაღდნით შეიძლებოდა, რასაც მხოლოდ მუსლიმები ხედავდნენ.

ნამდვილი მუჰამედი, რომელმაც ყურანი მოგვცა, მიმდევართათვის უხილავია. მითხრეს, რომ თავიდან ხელმძღვანელობდა მათ, მაგრამ მერე ბატონობა მოინდომა და სამხრეთში გააძევეს. მუსლიმთა გარკვეულმა ჯგუფმა, დემონთა წაქეზებით, მუჰამედის ღმერთად გამოცხადება მოინდომა. ხალხის დასაშოშმინებლად მუჰამედი ჯოჯოხეთში წაიყვანეს და ყველას თვალწინ გამოაჭენეს. ამ დროს ვნახე მეც. განსხეულებულ სულს ჰგავდა, წარმოდგენა რომ არა აქვთ არაფერზე, შავბნელი სახე ჰქონდა. ამ სიტყვების თქმადა შეძლო: "მე თქვენი მუჰამედი ვარ" და მაშინვე ჩაიძირა.

წყარო: *Vera Christiane Gheligio, Emmanuel Stsedenborg, 1771.*

კეთილშობილი მტერი

მაგნუს ბარდფორმა 1102 წელს ირლანდიის სამეფოების დაპყრობითი ომი წამოიწყო. ამბობენ, რომ სიკვდილის წინ, დუბლინის მეფის, მუირჩერტახისგან, უსტარი მიიღო:

დაე, შენს ჯარში იმსახუროს ოქრომ და ქარბუქმა მაგნუს ბარდფორ.

დაე, ხვალ ჩემი სამეფოს მინდვრებზე ბედნიერ იყოს შენი ბრძოლა.

დაე, შენი მეფური ხელები მრისხანედ შემოეჭდონ მახვილს.

დაე, წითელი გედის ლუკმა იყოს ყველა, ვინც შენს მახვილს წინ აღუდგება.

დაე, შენმა ღმერთებმა გაგაძღონ დიდებითა და სისხლით.

დაე, ცისკრის ჟამს გაიმარჯვო მეფეო, ვინც ირლანდიის მიწას დადინხარ.

დაე, მრავალ დღეთაგან არცერთს ებრწყინოს ისე, როგორც ხვალინდელს.

რადგანაც ეს დღე უკანასკნელი იქნება შენთვის. გეფიცები, მეფეო მაგნუს.

რადგანაც შენი სიცოცხლის ჩაქრობამდე მე დაგამარცხებ და გააქრობ შენ, მაგნუს ბარდფორდ.

წყარო: *Anhang zur Heimskringla, H. Gering, 1893.*

მეცნიერებაში სიზუსტის შესახებ

... იმ სამეფოში კარტოგრაფიის ხელოვნება ისე დაიხვეწა, რომ მხოლოდ ერთი პროვინციის რუკა მთელ ქალაქს იკავებდა, სამეფოსი კი მთელ პროვინციას. დროთა განმავლობაში უზარმაზარი რუკები მოძველდა და კარტოგრაფთა საბჭომ შექმნა სამეფოს რუკა, რომელიც იმპერიის ზომისა იყო და ზუსტად ემთხვეოდა მას. მომდევნო თაობებმა, რომლებიც ნაკლებად იყვნენ კარტოგრაფიის შესწავლით გატაცებულნი, დაასკვნეს, რომ ეს უშველებელი რუკა ადარაფრად ვარგოდა და ის არცთუ უღმერთოდ, მზის მცხუნვარებასა და ზამთრის სუსხს მისცეს. დასავლეთის უდაბნოებში დღესაც ნახავთ რუკის ნარჩენებს, რომელზედაც სახლობენ ცხოველები და უპოვარნი. მთელ ქვეყანაში კი აღარ დარჩა აღარც ერთი რელიკვია გეოგრაფიულ დისციპლინებში...

წყარო: *Travels of Praiseworthy Men, J. A. Suárez Miranda, 1658*